საერთო გაზეთი

№5 (510) • 20 თებერვალი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

მამუკა არეშიძე: ბიძინა ივანიშვილის და „ქართული ოცნების“ მიერ სულ მალე დაიწყება დაპირებების მთელი პაკეტის შესრულება

ერგნეთის ბაზრობა თუ აღდგება, ქართველთა და ოსთა შერიგებას წინ არაფერი დაუდგება

როგორ მოიპარა მიხეილ სააკაშვილმა პარტია?

იპარავს, იტაცებს, ითვისებს, ისაკუთრებს, მერე კი ყველაფერს თავისად ასაღებს და თავის დამღას ასვამს, როგორც ადრე ცხენის ქურდები იქცეოდნენ ხოლმე

დღეს საზღვარგარეთ „გახსნილი“ „დიასპორის სამინისტროს“ მინისტრად ძებნილი მიხეილ სააკაშვილი მოგვევლინა

აფერისტი ბანკიდან

თქვენს შავ და თეთრ მილიონებს გაფიცებთ, ბატონო მამუკა, ვინ დაგიწერათ თქვენ ეს მზაკვრული და ფარისევლური სცენარი და ვინ გირჩიათ, პოლიტიკურს მიაწექი, პოლიტიკურს, თორემ შენი საქმე დამთავრებულიაო?!.

მე, რადიო, განათლების სისტემა და გზა უნივერსიტეტის გავლით ელიავას ბაზრობამდე

კაცი „ზაგოზერნოდან“ ანუ ასინეთურ-კოკინაშვილური მოძრაობის ანატომია

შეიძლება თუ არა რობოტებმა გაწყვიტონ ადამიანები და სამყაროს დაეპატრონონ?

ბიძინა ივანიშვილის და „ქართული ოცნების“ მიერ სულ მალე დაიწყება დაპირებების მთელი პაკეტის შესრულება

გვესაუბრება ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე:

— ბატონო მამუკა, „თი-ბი-სი“ ბანკთან მიმართებაში „ეროვნული ბანკის“ მიერ გაკეთებულმა განცხადებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. არასამთავრობოებმა, „ნაცებმა“ მაშინვე ატეხეს ყვირილი: ივანიშვილი ხაზარაძეს ბანკს ართმევსო. რეალურად, რა პროცესი მიდის ამ მიმართულებით?

— ვერაფერს გეტყვით იმიტომ, რომ ეს ისეთი სპეციფიური თემაა, რომლის საქმის კურსში არ ვარ. თუმცა, ერთი რამ არ მომწონს — ხაზარაძის სიჩუმე. როგორც ჩანს, ძალიან სერიოზული პროცესი მიდის, რასაც შესაბამისი საინფორმაციო ველი სჭირდება. ჩვენ, ჭორების დონეზე ან თუნდაც „ეროვნული ბანკის“ ქმედებების მიხედვით ვერ ვიმსჯელებთ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, საჭიროა ორივე მხრიდან საზოგადოებას ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდოს. რა ტონალობაც „რუსთავი-2“-მა შემოიტანა, ეს, გადაჭარბებულად მეჩვენება. თუკი ვინმე, დღეს, „თი-ბი-სი ბანკს“ უტევს, მან უნდა იცოდეს, რომ მის უკან ძალიან სერიოზული დასავლური ჯგუფი დგას, რომლის ასე მარტივად დაჩაგვრა არ გამოვა. მოდით, ეს თემა ორად გავყოთ — ცალკე ავიღოთ „თი-ბი-სი“ და ცალკე პერსონალურად მამუკა ხაზარაძე. გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს, ხაზარაძის გადაყენებას ითხოვენ და არა „თი-ბი-სი ბანკის“ ხელში ჩაგდებას. თუ ხაზარაძის „თი-ბი-სი ბანკიდან“ ჩამოშორებას ითხოვენ, მაშინ მან უნდა განმარტოს რაშია საქმე. ის კი, რატომღაც, დუმს. აქვეა, ანაკლიის პორტის თემა, რომელიც მხოლოდ ქართული არ არის, არამედ ეს ამერიკული პროექტია, ამას ხაზგასმით ვამბობ. თანაც, ისეთი ამერიკული პროექტია, რაშიც სამხედრო პოლიტიკური შემადგენელი არსებობს. სოციალურ ქსელებში გავრცელდა ჭორი, თითქოს, რუსეთიდან მოვიდა ბრძანება ანაკლიის პორტის მშენებლობის შეჩერებაზე. ეს აბსოლუტური იდიოტიზმია. ანაკლიის პორტის მშენებლობას თუ გააჩერებენ, სამაგიეროდ, აგერ არის ფოთი, რასაც მთავრობის სრული მხარდაჭერა აქვს. აი, ასეთ ჭორ-მართალში ვართ არეული. თანაც ოპოზიციური პრესა ამ სკანდალს აბუქებს და ხშირ შემთხვევაში, საზოგადოება ვერ ერკვევა რეალურად, რა ხდება. ამიტომ, ხაზარაძის პოზიცია ბევრად უფრო ნათელი და გასაგები უნდა იყოს.

— არჩევნების პირველი ტურის მერე, ბიძინა ივანიშვილმა საბანკო სექტორში მოსალოდნელი ცვლილებები დააანონსა. როგორ ფიქრობთ, „თი-ბი-სის“ მიმართ დაწყებული პროცესი შეგვიძლია თუ არა მივიჩნიოთ საბანკო სექტორში წესრიგის დამყარებისა და ამ სფეროს კანონის ჩარჩოებში მოქცევის დასაწყისად?

— არა, ამ პროცეს ასე ვერ ვუწოდებთ, მაშინ ეს ყველა ბანკს უნდა შეეხოს. ცვლილებები შესაბამის კანონმდებლობაში უნდა შევიდეს და არა კონკრეტული ბანკის საქმიანობაში. თუ ვთქვათ, საბანკო სექტორის მოსაწესრიგებლად, ბანკისა და მომხმარებლის ურთიერთობების უფრო ცივილიზებულ ჩარჩოში მოსაქცევად, ნაბიჯები გადაიდგმება, მაშინ კანონმდებლობაში ცვლილებები უნდა შევიდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ბანკზე შეტევა გამოდის. მე ისიც არ ვიცი, ეს რაც ხდება, საერთოდ, არის თუ არა შეტევა.

— სააკაშვილმა, თავის დროზე, 2007 წელს სრული კარტ-ბლანში მისცა კომერციულ ბანკებს და ყოველგვარი შეზღუდვები მოუხსნა.

— დიახ, შედეგად, დღეს, ჩვენი საბანკო სისტემა არის ყველაზე მყარი, წელში გამართული, სამაგიეროდ, მომხმარებელი არის დაჩაჩანაკებული და წელში გატეხილი. ის ერთჯერადი აქცია, რომელიც საახალწლოდ მეორე ტურის დროს ჩატარდა, სიტუაციას ვერ უშველის. თუ საპროცენტო განაკვეთები არ შეიცვალა, ბანკის და მომხმარებლის ურთიერთობის ვერტიკალი ჰორიზონტალში არ გადავიდა, ანუ, მოქალაქემ თუ არ იგრძნო, რომ კონსტიტუციურად მასაც იგივე უფლებები აქვს, რაც ბანკის ჩინოვნიკებს, არაფერი გამოვა. იმ კარტ-ბლანშმა რაც თავის დროზე მიხეილ სააკაშვილმა ბანკებს მისცა, გამოიწვია მათი უაზროდ გამდიდრება. ასევე, ბანკების წასვლა ბიზნესში — სამშენებლო იქნება ეს თუ სხვა და მომხმარებლის კიდევ უფრო წელში გაწყვეტა. ამის დაშვება არ შეიძლებოდა. სხვათა შორის, ეს პროცესი ისევ გრძელდება, ბევრი არაფერი შეცვლილა.

— ბატონო მამუკა, სააკაშვილი ალტერნატიული მთავრობების შექმნისთვის და საქართველოში დასაბრუნებლად ემზადება. ლიეჟში განვითარებულ მოვლენებზე რა აზრის ხართ, ზედმეტი ხმაური ხომ არ ავტეხეთ?

— იცი რაშია საქმე, ამ პროცესის უყურადღებოდ დატოვება სწორი არ იქნებოდა. იმიტომ, რომ საზოგადოებრივი აზრი ასეთი სახის ღონისძიებებიდან ყალიბდება. საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გაყუჩება, გაჩუმება კიდევ ერთხელ გაუსვამდა ხაზს მის უუნარობას. ამიტომ, ვფიქრობ, პიარს კონტრ-პიარი უნდა დაუპირისპირო. სააკაშვილმა ეს ქმედება პიარისთვის, საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად გააკეთა. თორემ, სხვა მხრივ, ჩრდილოვანი კაბინეტი და მსგავსი შეხვედრები, სხვა როლს ვერც ითამაშებს. თავი მოიყარეს ძველმა სახეებმა. შეხვედრა ლიეჟში იქნება თუ იტალიაში, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. თუმცა, ეს სერიოზულ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე იმიტომ, რომ იგი, შედეგად იწყებს ეჭვიანობას — ხელისუფლება პასუხს ვერ სცემს ე.ი. სუსტიაო. ასე, მაღალი ალბათობით მიშიზმი მომავალში შეიძლება „ნაციონალური მოძრაობით“ შეიცვალოს. ამიტომ, სააკაშვილის ქმედებაზე დიახაც პასუხი გასაცემი იყო, მაგრამ არა ისეთი ფორმით, როგორც ლიეჟში მოხდა. „ნაცმოძრაობის“ მოწინააღმდეგე იქ, მხოლოდ ჟურნალისტების ჩასვლა, სავსებით საკმარისი იქნებოდა. მით უმეტეს, რომ ჟურნალისტების აქტიურობამ, სააკაშვილის საწინააღმდეგოდ, საკმაოდ მომგებიანი ფონი შექმნა. გარდა ამისა, მიშას მსოფლიოში, ემიგრანტთა შორის, ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. თუ გაჭირდა, ამას ღიად ვამბობ, მათი მოზიდვაც შეიძლება. ლიეჟში სხვა არავის ჩაყვანა არ იყო საჭირო.

კიდევ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი რამ არის გასაკეთებელი — ეს გახლავთ საკადრო, სოციალური პოლიტიკის სერიოზული შეცვლა და რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარების ძლიერი ეკონომიკური ბალანსის შექმნა. ამაზე დგას, დღეს, საქართველოს ბედიც და დღევანდელი ხელისუფლების მომავალიც. ბიძინა ივანიშვილმა პირველი ტურის შემდეგ გაკეთებულ განცხადებაში სწორედ ამ საკითხზე გაამახვილა ყურადღება. მას ხშირად უკიჟინებენ რატომ არ იწყება დაპირებების შესრულება. ერთი რამ უნდა ვთქვა: არსებობს დაპირებების მთელი პაკეტი, რომლის რეალიზაციის გააზრება პრემიერ-მინისტრის გუნდის მეშვეობით უკვე დაწყებულია. ექსპერტები რამდენჯერმე შევხვდით მამუკა ბახტაძეს და ვიცი რომ ეს პროცესი დაწყებულია. ასე ვთქვათ: ფორმა ეძლევა იმ ყველაფერს, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას.

— აშკარაა, პიარის არქონამ სადამდეც მიიყვანა ხელისუფლება. რატომ იჩენენ ასეთ სიჯიუტეს?

— ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ხელისუფლებაში მართლაც არსებობს უნიათო ადამიანების ჯგუფი. გარკვეული კატეგორია უფრო მეტად საბოტაჟით არის დაკავებული, ეს განსაკუთრებით, რეგიონებში თვითმმართველობის წევრებს ეხებათ. ასევე, გვყავს კორუმპირებულთა გარკვეული რაოდენობაც და ისეთებიც, რომელთაც იმდენად უყვართ და მოსწონთ თავიანთი კაბინეტები, რომ ურჩევნიათ არაფერი აკეთონ — არც ქრთამის აღება არ უნდა, არც ფულის მოპარვა და არც არაფრის კეთება, ოღონდ, პასუხისმგებლობა არ აიღონ საკუთარ თავზე. საბოლოო ჯამში, ასეთი სურათი იხატება. მთელი უბედურება ის არის, რომ „ნაცებისგან“ განსხვავებით „ქართული ოცნება“ გუნდად ვერ ჩამოყალიბდა, რომელიც ერთ იდეაზე იქნებოდა ორიენტირებული.

— რა ხდება „ქართულ ოცნებაში“, შიდა დაპირისპირების ტალღა რატომ არ ცხრება?

— არასასიამოვნო პროცესები მიდის, რასაც ექსპერტები დიდი ხნის წინ ვვარაუდობდით — ვეტერანებსა და ახლებს შორის დაპირისპირება რომ იქნებოდა, ეს, პირველივე დღეებიდან ჩანდა იმიტომ, რომ კადრები, საპარლამენტო არჩევნებისთვის, გაუგებარი ნიშნით იყო შერჩეული. აქ, იყო ნათელმირონობა, მეგობრობა, პორტირება, კოაბიტაცია, ფუ-

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავლის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

ლიანი მაჟორიტარები, ანუ, ყველა სხვა ნიშანი გარდა გუნდის და იდეის მომხრეობისა. ახალგაზრდები, რომელთაც მაღალი თანამდებობები დაიკავეს, მაშინვე აშკარა იყო, ვეტერანებთან ვერასდროს მოძოვდნენ. არადა, ვეტერანების ზურგზე გადაიარა 2012-მა წელმა, ახალგაზრდების დიდი ნაწილი, იმ პერიოდში, საერთოდ, არავის ახსოვს. მათ შორის, პარლამენტის თავმჯდომარეც, რომელიც „ქართული ოცნების“ რეგიონალური საკითხების კომიტეტის წევრი იყო და არავითარი განსაკუთრებული აქტიურობით არ გამოირჩეოდა (მაშინ, მე, ამ კომიტეტის თავმჯდომარე გახლდით). ეს დაპირისპირება აუცილებლად მოხდებოდა. ზუსტად, ანალოგიური ვითარება მეორდება, რაც 1995 წელს პარლამენტში იყო. როცა პარლამენტში „მოქალაქეთა კავშირის“ სახელით შევედით (მაშინ პარტიის წევრი არა, მაგრამ ფრაქციის წევრი გახლდით), უცებ, მაღალ თანამდებობებზე აღმოჩდნენ პირები, რომელთაც საქართველოში არავინ იცნობდა. იგივე, მიხეილ სააკაშვილი, რომელიც იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე გახდა. არც ზურა ჟვანიას პარლამენტის თავმჯდომარეობას ვარაუდობდა ვინმე. თუმცა, ზურა ჟვანია და გია ბარამიძე — ეს ორი ფიგურა ეროვნული მოძრაობის პროცესში აქტიურად ჩანდა და ხალხი მათ იცნობდა. დანარჩენებს არავინ იცნობდა, მაგრამ უცებ, ზოგი ფრაქციის თავმჯდომარე გახდა, ზოგი კომიტეტის, ზოგი ვიცე-სპიკერი და ა.შ. დიახ, მაშინ ფორსმაჟორული სიტუაცია, ომის პერიოდი იყო. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება: ამ ახალგაზრდებმა მაშინდელი ხელმძღვანელობა. სწორად მოიქცნენ თუ არა, ეს დღევანდელი გარჩევის თემა არ არის, მაგრამ ფაქტია, იგივე მეორდება. ასეთი ფორმაციის პარლამენტის მიღება არ შეიძლებოდა. ყველაფერი რევოლუციას ექვემდებარება. რევოლუცია ღუპავს პოლიტიკას. რევოლუციური ნაბიჯები არაეფექტურია დღევანდელ გლობალისტურ სამყაროში. ყველაფერი უნდა მოხდეს ევოლუციით. მოკლედ, მივიღეთ ის, რომ უთანხმოების ნაღმი თავშივე იყო ჩადებული და ახლა გასკდა.

— უთანხმოება მოსამართლეების თემამ გამოიწვია, ყოველივეზე რას ფიქრობთ?

— დიახ, ეს თუ არა, დამიჯერეთ, სხვა თემა გამოჩნდებოდა. აქ, ასეთი მიდგომაა: პარლამენტარების ერთ ნაწილს კომპრომატირებული მოსამართლეები აწყობს და ჰგონიათ, რომ ის ჯგუფი, რომელსაც ჩინჩალაძე-მურუსიძე ჰქვია, მოსამართლეთა კორპუსში სიტუაციას ფლობენ და მისი დალაგება შეუძლიათ. ეს ტყუილია. არავინ არაფრის დამლაგებელი არ არის. სიტუაციის დალაგება შეუძლია ნებისმიერ ენერგიულ ადამიანს, რომელსაც ეს კორპუსი აბარია. მაგალითად, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. საჭიროა შესაბამისი ფიგურის შერჩევა. ეს ისეთი სტრუქტურაა, რომელშიც თანამდებობა, კონკრეტული პიროვნების ქარიზმა, ცოდნა და გამოცდილება ნახევარ საქმეს წყვეტს. თორემ, ჩინჩალაძის და მურუსიძის ფაქტორს დანარჩენი მოსამართლეებისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მოსამართლეებს თავადაც შევხვდი და ვესაუბრე. ერთმა მათგანმა იკითხა: ჩვენ აქ, არაფერს წარმოვადგენთ, რატომ

დაგვასვეს თავზე ჩინჩალაძე და მურუსიძეო? ისინი ისეთ ამინდს ქმნიან, ვითომ, თვითონ არიან ლიდერები. სინამდვილეში, არავითარი ლიდერები ისინი არ არიან იმიტომ, რომ უამრავი მოსამართლე ვიცი, რომელთაც ჩინჩალაძეც და მურუსიძეც ორივე ფეხზე ჰკიდია. შეგიძლიათ, პირდაპირ ასე დაწეროთ. ერთი კლანი არსებობს, რომელიც ჩინჩალაძეს უკან დაჰყვება — ხან გორში, ხან სად და ხან სად. დანარჩენი მოსამართლეები შეურაცხყოფილნი არიან. არასწორად მიწოდებულმა პროექტმა, ინფორმაციამ, რის ჭეშმარიტებაშიც ბიძინა ივანიშვილი დაარწმუნეს, ცუდი შედეგი წარმოშვა. ივანიშვილს უფრო მეტს მიაწერენ, ვიდრე იგი ამბობს და აკეთებს. არადა, ბატონი ბიძინა ცდილობს სიტუაციაში გაერკვეს. ამიტომაც იყო, რომ მერე, უმრავლესობამ უკან დაიხია. ეს, რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილის მითითებით მოხდა. ახლა, ცდილობენ, მოსამართლეებთან დაკავშირებით, სხვა ტიპის საპარლამენტო პროცესი მოაწყონ. ეტყობა, ვიღაცებს პარლამენტში კონკრეტული ადამიანების მიმართ ვალდებულებები აქვთ და აქედან გამომდინარე, ცდილობენ, მაინც, თავისი ხალხი გააძვრინონ, რაც ბრძოლას და დაპირისპირებას იწვევს. ბიძინა ივანიშვილმა სწორი ნაბიჯები გადადგა. ჩვენც ვურჩიეთ, პრესის ფურცლებიდან, ამ ხანძრის ჩაქრობა მაქსიმალურად მომზდარიყო, რათა ეს ნაპრალი უმრავლესობის ჯგუფებს შორის არ გაღრმავებულიყო, რადგან ეს, მერე, მათ რღვევას გამოიწვევდა. ახლა, უმრავლესობიდან ათი კაცი რომ გავიდეს და ფრაქცია შექმნას, თუნდაც ბესელიამ ან სხვებმა, ეს ძალიან სერიოზული ძალა იქნება. ეს რამდენად საჭიროა თავად უნდა გადაწყვიტონ. ყოველ შემთხვევაში, უმრავლესობის პარტიის ხელმძღვანელობას ხანძარი ნამდვილად არ უნდა აწყობდეს. საზოგადოებაში არსებულ ეჭვს გაფანტვა სჭირდება.

— თქვენ, ახლა ცალკე ფრაქცია ახსენეთ. ხშირად ისმის საუბარი მესამე ძალაზე. დღეს ამისთვის ნიადაგი მზად არის?

— მესამე ძალა უკვე ჩანს. დიახ, მესამე ძალა არის საზოგადოების საპროტესტო განწყობა ყველა პოლიტიკური ძალის მიმართ. მხოლოდ ივანიშვილის განცხადებამ როდი განაპირობა საზოგადოების „ქართული ოცნებისკენ“ შემოტრიალება, არამედ ეს შედეგი მიიღწა „ქართული ოცნების“ — 2012 წლის იდეალების ერთგული ადამიანების არჩევნების მეორე ტურში სერიოზული ჩართულობით. 2012 წლის იდეების ერთგულმა ადამიანებმა ყველა საქმე გვერდზე გადადეს, მთელი საქართველოს მასშტაბით დარბოდნენ და სიტუაციას ცვლიდნენ. ივანიშვილმა ამ განწყობას ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხი მისცა და საზოგადოება, რომელიც ინერტული იყო, შეიმართა. ამ ყველაფერს დაფასება სჭირდება. დიახ, ამ ხალხის დაფასებაა საჭირო, რასაც ჯერჯერობით ვერ ვხედავ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ეს უახლოეს მომავალში მოხდება. ვიმეორებ, ეს უკვე მესამე ძალაა. სულაც არ ნიშნავს, რომ ამას მაინცდამაინც პარტიის ფორმა უნდა ჰქონდეს. ეს არის საზოგადოების განწყობა, რაც მეორე ტურში კარგად გამოჩნდა. საზოგადოება „ნაცმოძრაობის“ მიმართ, აბსოლუტურად, უარყოფითად არის განწყობილი, თუმცა, კრიტიკულად „ქართული ოცნების“ მისამართით. ეს კრიტიკა სანამ წინააღმდეგობაში არ გადაზრდილა, საჭიროა დაპირებები ზედმიწევნით შესრულდეს.

— რა სჭირს საზოგადოებას, სწორი არჩევანის გაკეთება რატომ გვიანდება. თუნდაც, რატომ ვერ გამოვფხიზლდით მეორე ტურამდე?

— იმიტომ, რომ საზოგადოება პოლიტიკის, პოლიტიკოსების მიმართ ინერტულია. მას იმედი არ აქვს, რომ პოლიტიკოსები რამეს შეცვლიან უკეთესობისკენ. პოლიტიკურად აქტიური ნაწილი საქართველოს მოსახლეობის, დაახლოებით, 25%-ია, დანარჩენ 75%-ს საერთოდ არ აინტერესებს არაფერი თავისი სოციალური მდგომარეობის გარდა. ხომ ხედავთ, როგორ უკანა პლანზეა გადაწეული ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, პატრიოტიზმის, ქართული იდეის საკითხი და ა.შ.

— სანამ „ქართული ოცნება“ ინერტულია, სოციალურ ქსელებში მავანი ქვეყნის აპოკალიფსურ სურათს ხატავს.

— ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ რუსულ „რბილ ძალაზე“. თუ ვინმეს ჰგონია, რომ „რბილი ძალა“ საქართველოში აქტიური არ არის, ძალიან ცდება, მათ შორის, „ნაცებისაც“. „ნაცმოძრაობას“ ჰყავს შესაბამისი სტრუქტურები, რომლებიც აი, ამ უარყოფით და საკმაოდ უსიამოვნო სურათს აპოკალიფსურობამდე ზრდიან. ეს არის საზოგადოებრივ აზრზე მუშაობის ერთ-ერთი პრინციპი და ზუსტად ის „რბილი ძალა“,

რაზეც ვლაპარაკობთ-ხოლმე. არ არსებობს კონტრძალა, იგივე, „რბილი ძალის“ ფორმით. ხელისუფლების საინფორმაციო მუშაობა და საზოგადოებასთან ურთიერთობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

აქვე, ერთიც მინდა გითხრათ: გიორგი გახარიამ არ დაიზარა, რამდენიმე კაცს შეგვხვდა, აგვიხსნა რაში



მდგომარეობს მართალი სტატისტიკის გამოყენების პლუსი და რატომ გამოაქვეყნა ყოველივე. ასეთი სტატისტიკა, აქამდე, არცერთ შინაგან საქმეთა მინისტრს არ გამოუქვეყნებია — საუბარია, კრიმინალის ზრდის კატასტროფულ მაჩვენებელზე. წესით ამას შესაბამისი სამსახურები უნდა აკეთებდნენ, მაგრამ ეს გააკეთა გახარიამ და ჩვენც დავუფასეთ.

ხშირად გაიძახიან: ჩვენ, „ბი-ბი-სის“ კონსულტანტი გვყავსო და ა.შ. იცით, „ბი-ბი-სი“ როგორ მუშაობს? მისი წარმომადგენლები (შესაბამისი სამსახური არსებობს) ყოველკვირეულად, სპეციალურად ხვდებიან სამინისტროების სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებს და იღებენ ინფორმაციას — რა პროცესები მიმდინარეობს ამა თუ იმ სამინისტროში. ასე, რომ თვითონ „ბი-ბი-სი“ როგორც სატელევიზიო კომპანია, აბსოლუტურად, სრულ ინფორმაციას ფლობს რა პროცესები მიდის დიდი ბრიტანეთის მთავრობაში. შემდეგ ამას ამუშავებს, ყოველდღიურ ინფორმაციას უსადაგებს და მოსახლეობას აწვდის. ხალხი, მუდმივად, ინფორმირებულია რა ხდება დიდი ბრიტანეთის მთავრობაში და ნებისმიერ გამოწვევაზე, შესაბამისად, უცებ ახდენს რეაგირებას. ასე უნდა იქცეოდეს საზოგადოებრივი მაუწყებელი, თუმცა, იგი ამას არ აკეთებს. მერე უკვირთ: რატომ არის ამხელა აგრესია ხალხში. იმიტომ, რომ ხალხმა არაფერი იცის. ბანკის საქმე ავიღოთ, მოსახლეობას ვერ გაუგია რა ჭორია, რა მართალი.

— ბუნებრივია, მოსახლეობა დაბნეულია. მაგალითად, „რუსთავი-2“-დან გვარამიას და სააკაშვილის დიალოგში მუდმივად სახელმწიფო გადატრიალებაზე მოწოდებები ისმის. ეს ხომ კანონით დასჯადია. რატომ არ ეხება კანონი, ამ შემთხვევაში, გვარამიას, სააკაშვილს?

— საქართველოში, გვარამია ხომ განსაკუთრებულ მდგომარეობაშია ჩაყენებული. მას შეუძლია ისეთ მოწოდებებს შეუწყოს ხელი როგორიც არის სახელმწიფო გადატრიალება, ასევე, შეუძლია ქალს შეურაცხყოფა მიაყენოს, ქუჩაში დედა აგინოს. ყველაფერი რაც სხვისთვის დასჯადია, გვარამიასთვის ასე არ არის. იმიტომ, რომ იგი ოპოზიციური ტელევიზიის ხელმძღვანელია და მას იცავს არა კანონიერი, არამედ დასავლეთიდან რაღაც უხილავი ძალა, რომელიც მაშინვე ნერვიულობას დაიწყებს, როგორც კი გვარამიას შეეხებიან. აქ, ორმაგი სტანდარტი, ორმაგი კანონი მუშაობს, შესაბამისად, ქვეყნის ძირითადი ღერძი, რაც კანონზეა დაყრდნობილი, მოშლილია.

ერთსაც გეტყვით: მაღლაფერიძემ საზოგადოებრივი მაუწყებლიდან გაუშვა ჟურნალისტი (ისღა იყო დარჩენილი), რომლის ნამუშევარზეც დგას „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ არქივი. ანუ, კაცი რომელმაც სამაჩაბლოს ტრაგედიის ეპოპეა შექმნა — გოგა ჭყონია, რამაც „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ხელმძღვანელობის მიმართ ჟურნალისტთა კორპუსში ანტაგონიზმი გამოიწვია, შეიქმნა არაჯანსაღი სიტუაცია. ამ ტელევიზიამ რეიტინგი ვერაფრით აწია, რადგან იგი არ გამოხატავს საზოგადოების ინტერესებს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!

ნუ დავტოვებთ ჩვენს სისხლსა და ხორცს ეშმაკების ხელში – აღვადგინოთ დიასპორის სამინისტრო

მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკური კლეპტომანია, რომელიც იპარავს ყველაფერს, რაც თვალში მოუვა — იპარავს იდეებს, პროექტებს, ინიციატივებს აზრებს, მოსაზრებებს, მოკლედ, ყველაფერს, რისი მოპარვა და მიტაცებაც შეიძლება.

იპარავს, იტაცებს, ითვისებს, ისაკუთრებს, მერე კი ყველაფერს თავისად ასაღებს და თავის დამღას ასვამს, როგორც ადრე ცხენის ქურდები იქცეოდნენ ხოლმე.

იდეებს და ინიციატივებს რომ თავი დავანებოთ, სააკაშვილს თავისი პარტიის სახელწოდებაც კი სხვისგან აქვს მოპარული, თუმცა არა მარტო სახელწოდება, არამედ მთელი პარტია, თავის უძრავ-მოძრავ ქონებიანად და პარტიის წევრებიანად.

ამ უაღრესად ზესკანდალური და ერთი შეხედვით დაუჯერებელი ისტორიის შესახებ „საერთო გაზეთი“ ამავე ნომერში დაბეჭდილი თემურ კვირკველიას წერილიდან შეიტყობთ და, ამდენად, ამ თემაზე აქ საუბარს არ გავაგრძელებთ, ვიტყვით მხოლოდ ერთს: მიხეილ სააკაშვილი მთელი თავისი პოლიტიკური კარიერის მანძილზე იპარავს, ყაჩაღობს, ქურდობს და თავისი პოლიტიკური სკივრი სულ ამ ნაპარავ-ნაქურდალი ავლა-დიდებით აქვს გაძეძგილი.

სააკაშვილის კლეპტომანობის ამბავი ლიეჟში, ემიგრანტებთან მისმა შეხვედრამ გამახსენა კიდევ ერთხელ, სადაც კლეპტომანმა მიშამ მოქმედების ხუთპუნქტიანი გეგმა წარადგინა და წარადგინა, როგორც მის „გენიალურ“ ტვინში დაბადებული ორიგინალური და ექსკლუზიური ნააზრევი, თუმცა ამ გეგმის ხუთივე პუნქტი ქურდბაცაცა მიხეილს სხვადასხვა სუბიექტებისგან აქვს „აწაპნული“.

დაწყებული კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ შვიდი წლის წინათ გაკეთებული განცხადებებიდან, სადაც პატრიარქი ხაზგასმით ამბობს, რომ ყველა ადამიანს, რომელიც საქართველოში დაიბადა, უნდა შეუნარჩუნდეს საქართველოს მოქალაქეობა, მიუხედავად იმისა, სად ცხოვრობს და რომელი ქვეყნის მოქალაქეა იგი, გაგრძელებული ემიგრაციასთან დაკავშირებით სააკაშვილის ყოფილი კოლეგების მიერ სულ ბოლო ხანებში გაჟღერებული მოსაზრებებით და დამთავრებული „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიერ სხვადასხვა პერიოდში გატარებული საკანონმდებლო ცვლილებებით, სააკაშვილის ხუთპუნქტიანი გეგმა თავიდან ბოლომდე სხვადასხვა წყაროებიდან არის ამოკენკილი და ერთმანეთზე მიბლანდული.

სიმართლე გითხრათ, ამ გეგმაზე სერიოზული საუბარი არც ღირს და მისი განხილვა არც ჩვენ გვაინტერესებს, ისე, როგორც არ გვაინტერესებს სააკაშვილის პარანოიკულ-შიზოფრენიული მოსაზრებები, თუმცა ლიეჟის შეხვედრამ კიდევ ერთხელ წამოატივტივა ქართული სახელმწიფოსთვის ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, ემიგრაციასთან ურთიერთობის და დამოკიდებულების საკითხი.

ამ წერილში სწორედ ამ საკითხზე უნდა გესაუბროთ ძალიან მოკლედ და კონსპექტურად.

●

შევარდნაძის დროინდელი ერთი მაღალჩინოსანი იგონებს:

„სააკაშვილი განსაკუთრებული ჯიშის პოლიტიკური ცხოველია, რომლის მსგავსი ჩემს ცხოვრებაში არ შემხვედრია.

მოხდა ისე, რომ განაწესის მიხედვით, მთავრობის სხდომებზე სააკაშვილის გვერდით მიწევდა ჯდომა.

კაცი ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა. გამუდმებით ცქმუტავდა. ხელ-ფეხს იმპულსურად იქნევდა. შიგადაშიგ უცნაურ ხმებს გამოსცემდა და ხან კოსტუმზე მადორბლებდა, ხან შარვლის ტოტებზე.

ასეთი დაბნეული და დაფანტული იყო, ხომ ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს საერთოდ არ უსმენდა სხდომაზე გამომსვლელებს, მაგრამ სიტყვით გამოსვლა თუ მოუწევდა.

სხდომაზე გამომსვლელთა ტექსტებიდან ამოგლეჯილი ფრაზებით და ფრაგმენტებით მაინც ახერხებდა აზრის ჩამოყალიბებას.

ალბათ, რაღაც თავისებური და უცნაური ნიჭია ეს, თორემ ნორმალური და ჩვეულებრივი ადამიანი ასეთ რაღაცას ვერ გააკეთებს“.

ცხადია, სააკაშვილი მართლაც განსაკუთრებული ჯიშის პოლიტიკური ცხოველია, რომელსაც განსაკუთრებულად მძაფრი და მახვილი ყნოსვა აქვს და ამ ყნოსვით აგნებს პოლიტიკურად აქტუალურ და მომგებიან თემებს.

ამ ყნოსვით მიაგნო მან ემიგრაციის თემას და დარწმუნებული ვარ, ამ თემას ის ბოლომდე არ მოეშვება, სანამ რაღაც ხათაბალას არ გადაეყრება და კრახით არ დაამთავრებს თავის ავანტურისტულ პოლიტიკურ კარიერას.

●

„უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიანო“, — ნათქვამია.

საქართველოსგან უპატრონოდ მიტოვებულ ქართველ ემიგრანტებს ეშმაკი მიადგა საპატრონოდ.

ამ ორი წლის წინათ კვირიკაშვილმა აიხირა: სამთავრობო კაბინეტის რეფორმა უნდა მოვახდინო და სამინისტროები უნდა შევამციროო.

კვირიკაშვილის მიერ დიდი რიხით დაანონსებული რეფორმა და სამინისტროების შემცირების მუქარა იმით დამთავრდა, რომ ერთადერთი სამინისტრო — დიასპორის სამინისტრო, გააუქმეს, სხვებისთვის ხელი არ უხლიათ.

თუ მხოლოდ დიასპორის სამინისტროს გაუქმება ჰქონდათ მიზნად, რაღა რეფორმას არქმევდნენ, ბარემ პირდაპირ ეთქვათ, ეს დიასპორის სამინისტრო არ მოგვდის თვალში და უნდა გავაუქმოთო.

დღემდე გაუგებარ და ამოუხსნელ ამოცანად რჩება, რას ერჩოდა ბატონი კვირიკაშვილი დიასპორის სამინისტროს, რომელსაც ქვეყნიდან გასული მილიონნახევარი ქართველი იმედის თვალით შეჰყურებდა.

იმედსაც რომ თავი დავანებოთ, დიასპორის სამინისტროს არსებობას სხვა, სიმბოლური დატვირთვაც ჰქონდა უცხოეთში გადახვეწილი ქართველებისთვის — ამ სამინისტროს არსებობა იმას ნიშნავდა, რომ მათ სამშობლოს ისინი ახსოვდა და მათ ბედზე ფიქრობდა და ზრუნავდა.

კვირიკაშვილი არც სამართლიანად აღშფოთებული ემიგრანტების განაწყენებას მოერიდა, არც იმ საზოგადოების პროტესტს, რომელიც თვლიდა, რომ დიასპორის სამინისტროს გაუქმება მავნებლური, ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯი იყო, რომელიც ადრე თუ გვიან აუცილებლად გამოიღებდა საბედისწერო ნაყოფს და აკი, გამოიღო კიდეც — დღეს საზღვარგარეთ „გახსნილი“ „დიასპორის სამინისტროს“ მინისტრად ძებნილი სააკაშვილი მოგვევლინა.

კაცმა რომ თქვას, დიასპორის სამინისტროს სანამ ოფიციალურად დახურავდნენ, მანამდეც დახურული იყო ფაქტობრივად, იმდენად მწირი და მათხოვრული ბიუჯეტი ჰქონდა — სულ რაღაც ერთი მილიონი ლარი, მაშინ, როცა ჩვენს მეზობელ სომხეთში, იგივე სამინისტროს ბიუჯეტი, ჩვენი სამინისტროს ბიუჯეტზე სამასჯერ მეტი იყო, აზერბაიჯანში — ხუთასჯერ მეტი.

„საერთო გაზეთის“ ფურცლებზე დიასპორის იმჟამინდელ მინისტრთან გელა დუმბაძესთან რამდენიმე ინტერვიუ დაიბეჭდა.

ბატონ მინისტრს, ენერგიულ, ინიციატივიან, პატრიოტ და მაღალკვალიფიციურ პროფესიონალს, უამრავი საინტერესო იდეა და საინტერესო პროექტი ჰქონდა, თუმცა ამ ყველაფერმა სამინისტროს დახურვის შემდეგ ჩაილურის წყალი დალია.

დიასპორის სამინისტრო საგარეო საქმეთა სამინისტროს მიუერთეს, რომელიღაც განყოფილებად თუ დეპარტამენტად.

ეჭვი გვაქვს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრ ზალკანიანს, ან დიასპორის უმწვავეს პრობლემებთან შეჯიდების ან მათი გადაჭრის თავი ჰქონდეს.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაფანტულ მრავალრიცხოვან ქართულ ემიგრაციას პატრონი, გვერდით დამდგომი და გამამხნევებელი სჭირდება, ეს მისია კი, პირველ ყოვლისა, მისმა მშობლიურმა სახელმწიფომ უნდა შეასრულოს, ხოლო როცა ეს ასე არ ხდება, ყოველთვის გამოჩნდება ადამიანების სულებზე მონადირე ეშმაკი, რომელიც იტყვის: — შენი სამშობლო მე ვარ! გამომყევი, მე წაგიყვან სახლში!

ნუ დავტოვებთ ჩვენს სისხლსა და ხორცს ეშმაკების ხელში – აღვადგინოთ დიასპორის სამინისტრო.

„საერთო გაზეთი“

როგორ მოიპარა მიხეილ სააკაშვილმა პარტია?

ზუსტად ასე მოუვიდა ჩვენს ხალხს, რომელმაც მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა, საქართველო კატასტროფის კარამდე მიაყვანინა სააკაშვილსა და მის კრიმინალურ დაჯგუფებას.

ყბადაღებული კოჰაბიტაციის გამო კი ბევრი საქმე, რისი გამოსწორება დღესაც შეიძლება, ღვთის ანაბარაა მიტოვებული. სწორედ ერთ ასეთ საკითხზე მინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილო.

სააკაშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გააქტიურება 2000 წლიდან პირდაპირაა დაკავშირებული 1999 წლის არჩევნებში ასლან აბაშიძისა და „აღორძინების“ – ღიად პრორუსული ძალის – კრახთან.

მაშინ კრემლისთვის ცხადი გახდა, რომ საქართველოში

დეკლარირებულად პრორუსულ პოლიტიკურ გაერთიანებას პერსპექტივა არ ჰქონდა. კრემლმა ახალ ტაქტიკას მიმართა; რუსეთის ინტერესების მსახური ძალა საქართველოში უნდა ყოფილიყო ულტრამემარჯვენე, ნაციონალისტური ლოზუნგებითა და აგრესიული ანტირუსული რიტორიკით გამორჩეული პარტია და მისი ლიდერი, რომელიც იოლად აიყოლიებდა მალემრწმენ მასას.

აუცილებლად მნიშვნელოვანი იყო პარტიის დასახელება, რომელიც თვალშისაცემად „ეროვნული“ და და აგრესიული უნდა ყოფილიყო, რათა შევარდნაძის „კორუმპირებული ტირანიის“ წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში იოლად ჩაერთოთ ზვიადისტური რადიკალური ჯგუფები.

სამწუხაროდ, სახელი – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – დაბევებული იყო; მირიან მირიანაშვილმა, „მრგვალი მაგიდის“ ერთერთმა აქტიურმა წევრმა, ჯერ კიდევ 1999 წელს, დააფუძნა ასეთი დასახელების პოლიტიკური ორგანიზაცია. მეტიც: მირიანაშვილის გაერთიანებამ („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) 1999 წლის არჩევნებშიც მიიღო მონაწილეობა.

სიტყვას აღარ გავაგრძელებ იმის შესახებ, რომ მირიანაშვილის „ენმ“ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით იყო რეგისტრირებული იუსტიციის სამინისტროში.

2000–2002 წლებში სააკაშვილის ემისრებმა არაერთხელ სცადეს მ. მირიანაშვილთან მოლაპარაკება; სთავაზობდნენ ფულს, სააკაშვილის კართან დაახლოვებას და პარტიის თავმჯდომარის თანამდებობის შენარჩუნებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

ბოლოს, 2002 წელს, როცა მირიანაშვილი ექსპედიციასთან ერთად მთაში იყო (მირიანაშვილი აქტიური მთასვლელია!), სააკაშვილის თანამებრძოლებმა ჩვეული ბანდიტური ოპერაცია ჩაატარეს: მოსყიდვით გადაიბირეს „ენმ“-ის პოლიტსაბჭოს რამდენიმე წევრი და მათი მეშვეობით სცადეს პარტიის „გადაფორმება“. ლეგენდის თანახმად, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ვითომცდა ერთ დღეში, ჩატარდა ორი პარტიის ყრილობები, რომელთაც მიიღეს პარტიების გაერთიანების გადაწყვეტილებები. იგულისხმება, რომ გაერთიანების სახელად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ რჩებოდა.

კანონის თანახმად, ასეთ ყრილობებს აუცილებლად უნდა დასწრებოდა ნოტარიუსი, რომელსაც ორივე შემთხვევაში შესაბამისი ოქმით უნდა დაედასტურებინა ყრილობათა კენჭისყრის შედეგები.

ჩემდა გასაკვირად, ნოტარიუსი სამაგალითოდ წინდახედული აღმოჩნდა; მან დაადასტურა მხოლოდ ის, რომ მას „წარმოუდგინეს“ ყრილობათა საბოლოო ოქმები...

ამ შემთხვევაშიც გავუფრთხილდები თქვენს ნერვებს და არ დაგღლით გრძელი ჩამონათვალის კითხვით, თუ კანონის რომელი ნორმა დაირღვა მაშინ.

ნოტარიუსის ოქმი, ჩაუტარებელ ყრილობათა ოქმებთან ერთად, სააკაშვილის წარმომადგენლებმა წარადგინეს იუსტიციის სამინისტროში, სარეგისტრაციო კომისიაში, ახალი „ენმ“- ის დასარეგისტრირებლად.

ექსპედიციიდან დაბრუნებულმა მირიანაშვილმა შეიტყო რა სააკაშვილის აფიორის შესახებ, გამოცხადდა იუსტიციის სამინისტროს შესაბამის კომისიაში და მოითხოვა საკითხის განხილვისას მისი დასწრების უფლება.

მაშინ, ზემოთ მითითებულ კომისიას, ამავე კომისიის დებულების თანახმად, ხელმძღვანელობდა იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი.

აუცილებლად უნდა ითქვას ისიც (და ამას ერთხმად ადასტურებდნენ კომისიის წევრებიც), რომ კომისიას ჩვენთვის საინტერესო საკითხი საერთოდ არ განუხილავს, მარტივი მიზეზის გამო – წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იყო სრულყოფილი!...

კომისიის თავმჯდომარე, იგივე იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი, სასჯელაღსრულებითი დაწესებულებიდან ზვიადისტი პატიმრების გვირაბის მეშვეობით გაქცევის გამო – გადადგა. კანონის თანახმად, მოვალეობის შესრულება დაევალა მის მოადგილე კოტე კუბლაშვილს.

ამ პატივცემულმა გვამმა კი, რა თქმა უნდა, როგორც მომავალშიც არა ერთხელ, ამჯერადაც, კანონი ფეხებზე დაიკიდა და კომისიის გვერდის ავლით, ერთი რეზოლუციით დაარეგისტრირა პარტიათა „გაერთიანების“ შედეგად შექმნილი სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“!

შედეგები, ბრმათა გარდა, ყველას კარგად მოეხსენება.

ჯერ კიდევ 2003 წლის ზაფხულში, მირიანაშვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს. სასამართლომ სარჩელი მიიღო. ბევრისმეტყველი იყო ისიც, რომ განმწესრიგებელ სხდომაზე დროშების ფრიალით და აგრესიული შეძახილებით მოსულ ასამდე ნაციონალ აქტივისტთან ერთად „რესპუბლიკელი“ ძმები ბერძენიშვილებიც გამოცხადდნენ!...

კონფლიქტს მირიანაშვილისა და კანონის ფეხზე დაკიდება არჩიეს.

ზედმეტია საუბარი, რომ მირიანაშვილს, ან მისი ოჯახის წევრს, უწყება არ ჩაბარებია; უწყების ჩაბარების ქვითარზე ვიღაც უცნობის ხელმოწერაა დაფიქსირებული, რომელიც მირიანაშვილის დედის ხელმოწერად საღდება.

2003 წლის ნოემბრის მოვლენების შემდგომ, მორალური და ფიზიკური ტერორის პირველივე ინციდენტების შემდგომ, მირია-

დაიწყო არსებითი განხილვისათვის პროცესის ლოდინი. სასამართლო აშკარად დროს წელავდა; როგორც ჩანს, აკვირდებოდნენ პროცესების განვითარებას...

ლოდინით დაღლილმა მირიანაშვილმა სასამართლოს კანცელარიას მიაკითხა და გაარკვია, რომ თურმე ნუ იტყვით, არსებითი განხილვისათვის პროცესი დაუნიშნავთ, მაგრამ რადგან მოსარჩელე, ანუ მირიანაშვილი არ გამოცხადებულა, სარჩელი განუხილველად დაუტოვებიათ, გასაჩივრების უფლების გარეშე!

ცხადი გახდა, რომ სასამართლოს ჩინოვნიკებმა სააკაშვილთან

ნაშვილი უცხოეთში გადაიხვეწა...

ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, მიუხედავად სრულიად კანონიერი და სამართლებრივად არგუმენტირებული მიმართვებისა, პროკურატურისა და იუსტიციის სამინისტროს უწყების ამოქმედება სამართლიანობის აღსადგენად მირიანაშვილისთვის შეუძლებელი გახდა.

როგორც ჩანს, მირიანაშვილსა და საზოგადოებას მთლიანად, სხვა დროებისა და ხელისუფლების იმედი უნდა ქონდეთ.

იმედი ნუ მოგიშალოთ ღმერთმა!

თეიმურაზ კვირკველია



მე, რადიო, განათლების სისტემა და გზა უნივერსიტეტის გავლით ელიავას ბაზრობამდე

სასაცილოდან სასატირლომდე

კახეთიდან მოვდივარ თბილისში. მოვდივარ ღიღინით. რადიოს ვრთავ. „ობიექტივის" ეთერში გამოკითხვა მიმდინარეობს: რატომ მივიღეთ კატასტროფა განათლების სისტემაში? გადაცემის წამყვანი მახსენებს, რომ 2016 წელს ამდენი და ამდენი აბიტურიენტი ჩაიჭრა უმაღლეს სასწავლებლებშიო, ამდენმა და ამდენმა ვერ გადალახა საატესტატო გამოცდებიო. თან პერიოდულად ემოციურად ამატებს – ოჰ, ეს საშინელებააო. მოქალაქეები რეკავენ, თავიანთ აზრებს აფიქსირებენ. ზოგი ამ მთისას ამბობს, ზოგი – იმ მთისას, უმეტესობა მაინც იმ აზრზეა, რომ საბჭოთა განათლების სისტემა იყო უნიკალური და არ უნდა დაგვენგრია. წამყვანი მაცნობს 2017 წლის მონაცემებსაც. მდგომარეობა გაუარესებულია, დაახლოებით 35-მა პროცენტმა ვერ გადალახა საატესტატო გამოცდები. უარესი კატასტროფა, საშინელება, კაცობრიობის დასასრული. ისევ რეკავენ მოქალაქეები, ისევ აფიქსირებენ თავიანთ აზრებს. აჰა, გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც ცდილობენ, მკვდარი კატა კისერზე ბიძინა ივანიშვილს ჩამოჰკიდონ. მაგასო, მაგ მილიარდერს არ აწყობს, რომ საქართველოში განათლებული ხალხი ცხოვრობდეს, ბევრ ფულს ვეღარ იშოვისო... თვითონ წიგნის კითხვა არ უყვარსო, მარტო დოლარები უყვარსო, განათლებული ადამიანები ეჯავრებაო. წამყვანი ჩუმადაა, ამ სისულელეს ატარებს, ვითომც არაფერი, მადლობა ზარისთვისო, მადლობა აზრის დაფიქსირებისთვისო. წამყვანი არ „ჩაეკითხა", ბატონო იმანო, წიგნი აიღეთ ხელში წასაკითხად და ბიძინამ გაგაგდებინათო? ან თქვენი შვილი ჩაუჯდა წიგნებს და ბიძინამ წაართვაო? ნუ, ეხლა, რასაკვირველია, აქაც გამომიჩნდებიან იმნაირები და იტყვიან, ივანიშვილის დანაშაული ის არის, რომ განათლების სისტემა გვაქვს ჩაბანძებულიო. ამაში გეთანხმებით, მართლაც ჩაბანძებული გვაქვს და არა მხოლოდ განათლების სისტემა, მაგრამ ყველა მკვდარი კატა ბიძინას რატომ უნდა ჩამოვკიდოთ კისერზე, როცა ყველაფრის ნგრევა და სააკაშვილის დონეზე დაცემა დაიწყო გაცილებით ადრე? თუ არ გახსოვთ, მე გაგახსენებთ, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა" სასწავლო პროგრამიდან ამოაგდეს ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ. ტრადიციული სისტემა მთლიანად მოშალეს და ჩაანაცვლეს ბოლონიის სისტემით ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ, რაც ჩვენთვის და ჩვენი ბავშვებისთვის აღმოჩნდა სრულიად გაუგებარი.ე.წ. ბოლონიური გამოცდილება თავს მოახვიეს არა მხოლოდ საჯარო სკოლებს, არამედ უმაღლეს სასწავლებლებსაც და ამავე დროს შემოათრიეს უნარ-ჩვევების ასევე გაუგებარი მეთოდი. სხვათა შორის, როგორც ძველი სპეციალისტები ამბობენ, საბჭოთა განათლების სისტემა არ

იყო საბჭოური, ის გადმოღებული გახლდათ გერმანიის გამოცდილებიდან. წესით, თუ ტრადიციულის დანგრევა გვინდოდა, მაშინ ისევ გერმანიაში უნდა ჩავსულიყავით და გვენახა, როგორ განავითარეს განათლება იქაურებმა, რა გვინდოდა ბოლონიაში? ეს კიდევ არაფერი... მიხოს გამოქლიავებულმა მინისტრებმა – შაშკინმა, ბაშკინმა, ნოდიამ, ბოდიამ, გვარამიამ და წკვარამიამ სულ მოუთავეს ხელი სასკოლო სახელმძღვანელოებს, ძირითადად ჩაკლეს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება, ასევე საქართველოს ისტორიის სწავლება, დანარჩენი საგნები კი დაიყვანეს კურიოზებამდე.

ვინ დაამატა კიდევ 2 კლასი, ანუ კიდევ 2 წელიწადი 10 კლასს, ანუ 10 წელიწადს, რაც სრულიად საკმარისი იყო სკოლაში საბოდიალოდ? რა საჭირო იყო კიდევ 2 გაწელილი წელიწადი, ჩვენ რომ 10 წელი ვიბოდიალეთ, ვერ ვართ ლომები და „ნეფხვები"? გუშინდელივით მახსოვს, როცა მე-11 და მე-12 კლასების ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები ვნახე, პირკატა მეცა, ჩვენი კლასიკოსების არც ერთი ნაწარმოები (ლექსები, მოთხრობები) არ იყო შეტანილი. ავტორს დავცხე პრესაში, არ დავინდე, გავაკრიტიკე, გადავუარ-გადმოუვუარე და ერთ დღესაც თავად მესტუმრა რედაქციაში. გვარს არ ვაკონკრეტებ, უჭკუო კაცი არ არის, რაც დაავალეს, ის გააკეთა. დამიჯდა, დაიწყო თავის მართლება, ესაო, ისაო, სასკოლო პროცესი და მომავალი თაობაო... მე ვუთხარი, ერთი ცოტა ხანს გაჩერდი, შეკითხვას დაგისვამ და მერე მიპასუხე-მეთქი. ჰო, კარგი, გისმენო. შე კაი კაცო, ამ სახელმძღვანელოებში მურმან ლებანიძის პოეზია არ არის, მუხრან მაჭავარიანის პოეზია არ არის, ბარათაშვილი არ არის, გალაკტიონი არ არის, ვაჟა, ილია, აკაკი არ არის (კიდევ ბევრი ჩამოვუთვალე), ვიღაც კარდენახიშვილისა და ქიბროწაშვილის პოეზია ვის რა ფეხებად უნდა-მეთქი?! პასუხი არ გაინტერესებთ? უი, ეგენი დამავიწყდა, გამომრჩაო. აი, ხომ დაუჯერებელ რაღაცას ვყვები? გეფიცებით, ნაღდად ეგრე იყო. გამეცინა, ეგენი დაგავიწყდა და ქიბროწაშვილი გაგახსენდა-მეთქი? მაინც თბილად დამშორდა, რა ვქნა, ეს ცხოვრება ეგრეაო. ჰო, ეგრეა, ეგრე, ვხვდები, რაც ხდება ჩვენს სამეფოში-მეთქი.

ადრე, უხსოვარ დროში, როცა ჩვენში უნივერსიტეტები ამაზე მეტი იყო, ვიდრე ახლაა, ერთ-ერთი უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ლექციებს ვკითხულობდი. თავიდან აღტყინებული ვიყავი, ვამაყობდი, მომავალი ჟურნალისტები უნდა გავზარდო-მეთქი. ერთი-ორ თვეში სიამაყე გამიქრა, ვატყობ, ბავშვები ცარიელი თვალებით მიყურებენ. დავიწყე კვლევა. ჯერ შეკითხვები დავუსვი ყმაწვილებს – რატომ გადაწყვიტეთ ჟურნალისტობა-მეთქი? ზოგმა, მე კი არა, დედაჩემმა გადაწყვიტაო, ზოგმა – მოდაშიაო, ზოგმა – მე რა ვიციო... არც ერთს არ უთქვამს, მუზა მაწუხებს, ვერაფერი მოვუხერხე და აგერ მოვედი თქვენთან. გავიდა კიდევ ერთი-ორი თვე და ვატყობ, ილიას, აკაკის და ვაჟას რომ ვახსენებ, ისევ ცარიელი თვალებით მიყურებენ. არადა, მომავალი ჟურნალისტი ამ სამი გენიოსის პუბლიცისტურ წერილებს კი არ უნდა კითხულობდეს, უნდა „სხლავდეს". კიდევ ვსვამ შეკითხვას: იქნებ დამისახელოთ ილია ჭავჭავაძის რომელიმე ნაწარმოები? თუნდაც პროზა, თუნდაც პოეზია. აი, კიდევ დაუჯერებელ ამბავს ვყვები, მაგრამ გეფიცებით, ეგრე იყო. ამის შემდეგ დავინტერესდი, რა ნიშნებზე ჰქონდათ დამთავრებული ამ გოგო-ბიჭებს სკოლა. გადავამოწმე მათ ატესტატები და ჰოი, საოცრება, თითქმის ყველას ჩაწიკწიკებული ჰქონდა 9-იანები და 10-იანები. აბა, ახლა ამიხსენით, როგორ შეიძლება, ახალგაზრდამ, რომელსაც სკოლა 10-იანებზე აქვს დამთავრებული, არ იცოდეს ილია ჭავჭავაძის ერთი ნაწარმოების სათაური მაინც? როდესაც მივხვდი, რომ რაღაც ანომალიას ვეჭიდავებოდი, დავიხურე ქუდი და გამოვქუსლე იმ უნივერსიტეტიდან.

როგორ ფიქრობთ, რაში მდგომარეობდა საბჭოთა განათლების სისტემის უპირატესობა, ანუ რა გვქონდა და რა დავანგრიეთ? სისტემა იყო ძალიან მარტივი: აიღე წიგნი, წაიკითხე, გაიაზრე, ჩამაბარე. ეს ყველაფერი შეცვალეს მეთოდით – აიღე აბრაკადაბრა, წაიკითხე, გაიზეპირე, რეპეტიტორთან იარე, ტვინი გაილაყე, ტესტირებას კომპიუტერი ჩაგიტარებს, გამორიცხვის პრინციპით შეიძლება გაარტყა და სრულიად შტერი წამყვან უნივერსიტეტში მოხვდე. რაც მთავარია, შენ შეიძლება ვერ მოხვდე იმ უნივერსიტეტში, რომელზეც ოცნებობ, უნდა ჩაწერო 7 უნივერსიტეტი, ერთ-ერთში გაგიმართლებს. თუ ექიმობაზე ოცნებობ, უნდა შეეგუო, დიდი ალბათობით ბიოლოგი გამოხვალ, ან სულაც ბუღალტერი. კომპიუტერი გადაწყვეტს, შენი ქულების მიხედვით სად გადაგისროლოს.

საბჭოთა პერიოდში არსებობდა 4-კლასიანი განათლება, შემდეგ იყო ღამის სკოლები. ასევე არსებობდა 8-კლასიანი განათლება და შემდეგ იყო პროფესიული სასწავლებლები, ცოტა მაღალი ეტაპი გახლდათ ტექნიკური სასწავლებლები, რომლებიც ბევრისთვის წარმოადგენდა ტრამპლინს უმაღლეს სასწავლებელში. თუ პროფსა და ტექნიკურ სასწავლებელს წითელ დიპლომზე დაამთავრებდი, შესაბამისი პროფილით უმაღლესში ერთი გამოცდით ირიცხებოდი. რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, თუ არ ჩავთვლით კომუნისტური პარტიის ისტორიას, ისე იყო შედგენილი, მომდევნო

8 გვ. →

ტარიელ თოდაძე:

ერგნეთის ბაზრობა თუ აღდგება, ქართველთა და ოსთა შერიგებას წინ არაფერი დაუდგება

როგორ მუშაობს სომხური ლობი საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ რუსეთში (და არამხოლოდ რუსეთში), ამ თემაზე არაერთხელ ვწერდით. თავად რუსი პოლიტიკოს-პოლიტოლოგები და ჟურნალისტები აცხადებენ, რომ რუსეთის ხელისუფლებაში 90-იანი წლებიდან მოკალათებული საკმაოდ ძლიერი სომხური ლობი ყველაფერს აკეთებს, რომ არ მოხდეს საქართველო-რუსეთის შერიგება და ურთიერთობების აღდგენა. ისიც ითქვა, რომ აფხაზეთის ძმათამკვლელი ომი, სწორედ ამერიკაში არსებული სომხური ლობის წაქეზებით მოხდა, რომ იქიდან ქართველები გამოედევნათ და თავად ჩაენაცვლებინა თ. გარდა ამისა, ამერიკის ინტერესში იყო აფხაზეთის მონაკვეთზე რკინიგზის გადაკეტვაც, რომ რუსეთი უშუალოდ არ დაკავშირებოდა ირანსო. სომხებს ბოლო ხანს ინტერესი ცხინვალის რეგიონის მიმართაც გასცხოველებიათ. აქაურობაც თავიანთი გავლენის სფეროში უნდათ მოაქციონ, რომ მერე სამცხე-ჯავახეთთან ერთად, ამ ძირძველ ქართულ მიწებზეც გამოთქვან პრეტენზია, განგვიცხადა ჩვენმა ძველმა რესპოდენტმა, გორელმა ტარიელ თოდაძემ. იგი 2008 წლის მაისში დაინიშნა გორში მდებარე სამხედრო ავტობაზის დირექტორად, ომის დღეებშიც არ დაუტოვებია გორი, ასე რომ, კარგად არის ინფორმირებული იმ პროცესების შესახებ, რაც „ვარდოსნების“ ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ ვითარდებოდა შიდა ქართლში, მათ შორის, კონფლიქტის ზონაში.

ტარიელ თოდაძე: „მიუხედავად ძალით თავსმოხვეული საომარი დაპირისპირებისა, ცხინვალელ ოსებთან ურთიერთობებს ვინარჩუნებთ. სწორედ მათ მითხრეს, რომ სომხებს უნდათ, როგორც აფხაზეთში არიან მოსახლეობის უმრავლესობა, უკვე 65%, ე.წ. სამხრეთ ოსეთშიც უმრავლესობაში იყვნენ, რასაც ჩვენ არაფრით არ დავუშვებთო. პირდაპირ თქვეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი და სხვა სომხები ცდილობენ ამასო. სომხებს უნდათ, როგორც აფხაზეთი, კრასნოდარის და სტავროპოლის მხარეები აქვთ აღებული, აქაც ასე გააკეთონ. ჩრდილოეთ ოსეთში არიან, მაგრამ სულ რამდენიმე ოჯახი იქნება, იქაური ოსები სომხებს არ მისცემენ იმის უფლებას და საშუალებას, რომ ჯიბეში ჩაიდონ ყველაფერი.ე.წ. სამხრეთ ოსეთი მიყრუებულივით რომ არის, აქ უნდათ ფესვის გადგმა, მაგრამ მეეჭვება ამას მიაღწიონ.კომუნისტების მმართველობის დროს ცხინვალში და საერთოდ ავტონომიურ ოლქში ყველაზე მეტი ქართველი ცხოვრობდა, იყვნენ ებრაელებიც და სომხებიც, მაგრამ ეს უკანასკნელნი სულ ოცი ოჯახი თუ იქნებოდა. სააკაშვილმა ისეთი პირობები შექმნა, რომ სომხებს საქართველოს ლამის მთელ ტერიტორიაზე გაუჩნდათ პრეტენზია, რომ მათია. ზუსტად არ მახსოვს, 1989 წელს იყო 1990-ში, ჯერ ოსებმა გააუქმეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რესპუბლიკა დაირქვეს, დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდოდათ. ზვიად გამსახურდია პრეზიდენტი რომ გახდა, უზენაესმა საბჭომ გააუქმა ეს ოლქი, რაზეც რუსეთიც თანახმა იყო. სააკაშვილმა აუსრულა ოცნება ოს სეპარატისტებს, ოლქი რესპუბლიკის სტატუსში აღადგინა, ახალგორის გარდა, სხვა მიწებიც მიუერთა, გორიდან ხაშურამდე. პრეზიდენტიც „დაუნიშნა“ დიმიტრი სანაკოევის სახით, რომელიც დღესაც „პრეზიდენტია“. ოსებს ბორჯომის რაიონის მიერთებაც უნდოდათ, სულ ხუთი ოსური ოჯახი ცხოვრობდა მაგ ტერიტორიაზე და თურმე ოსების მიწა ყოფილა. მე არ ვიცი რას აპირებდა სააკაშვილი ოსებთან დაკავშირებით, რომ დასცლოდა, ალბათ არ დაიხევდა უკან რომ გაეჩუქებინა, ნაწილი მაინც. სამაგიეროდ, ის ვიცი, რომ მას ჩაფიქრებული ჰქონია სომხეთისთვის ეჩუქებინა ბორჯომის ხეობა სამცხე-ჯავახეთთან ერთად. სომხებს გზის გაკეთება უნდოდათ, რომ სომხეთიდან პირდაპირ გადმოსულიყვნენ ახალქალაქის გავლით ბაკურიანში. კომუნისტების მმართველობის დროს ბაკურიანში მელიების მოსაშენებელი ფერმა იყო, იქ გადმოდის ახალქალაქიდან გზა და ამ გზის აღდგენა-გაფართოება უნდოდათ. მერე იტყოდნენ, რომ მაგათი ტერიტორიები იყო. ბევრმა შეიძლება არ იცის, რომ 2008 წლის ომის დროს, სომხეთის სპეცრაზმი ბორჯომამდე ჩამოვიდა, რუსებმა გააბრუნეს უკან, თორემ ბორჯომის ხეობის დაკავება უნდოდათ. დაინტერესდით, რატომ ჩავიდნენ რუსი სამხედროები ტანკებით ბორჯომში, ეს კადრები ტელევიზიით აჩვენეს მაშინ და არქივში ექნებათ შემონახული. სწორედ, სომხების სპეცრაზმის გასაყრელად ჩავიდნენ იქ რუსები, მიხვდნენ სომხებს რაც უნდოდათ, რუსების შეეშინდათ მაგათ, თორემ ალბათ არც გავიდოდნენ. ხანძარი რომ გაჩნდა მაშინ ბორჯომის ტყეებში, ხალხი ლაპარაკობდა, რომ აქაც ნაციონალების ხელი ერია. ვერტმფრენებიდან რაღაცა ფხვნილი გადმოყარეს, ამის მერე გაჩნდა ცეცხლი, სპეციალურად წაუკიდეს ტყეს, რომ მერე რუსებისთვის დაებრალებინათ, რაში ჭირდებოდათ რუსებს ტყის გადაწვაო. გორშიც რა ბინებიც დაიწვა, იქაც ხელოვნურად იყო გაჩენილი ხანძარი, დაბომბესო რომ ამბობენ, ერთი ბომბი არ ჩამოვარდნილა გორში, სულ იქ ვიყავი და ვხედავდი. ჩემს სახლთან არის ის კორპუსები, ერთი მინა არ იყო ჩატეხილი, რომ დაებომბათ, ასე გადარჩებოდა? იმ ავტობაზაში, რომლის დირექტორიც ვიყავი, 30 კვადროციკლი ყავდათ შემოყვანილი, რომელზეც საჰაერო-სარაკეტო დანადგარი მაგრდება, ვერტმფრენის ჩამოგდება ამ დანადგარითაა შესაძლებელი. ომის დღეებში იქ ყავდათ გაჩერებული, 11 აგვისტოს, როცა ყველაფერი დამთავრებული იყო, გამოიყვანეს და დასავლეთის მიმართულებით წაიყვანეს, ხაშურამდე გავყევი, მაინტერესებდა სად მიყავდათ. ბორჯომისკენ რომ გადაუხვიეს, მივხვდი რაშიც იყო საქმე, სომხებს მიჰყიდეს და სამცხე-ჯავახეთიდან გადაიყვანეს. მოკლედ, მოასწრეს ნაცებმა ხელის მოთბობა, რადგან 12 აგვისტოს დილით, რუსები უკვე გორში იყვნენ. ავტობაზის ტერიტორიაზე ლენდროვერის მარკის პიკაპები იყო გაჩერებული, ისინი რუსებმა წაიყვანეს. პიკაპები ძალიან საეჭვოდ ჩამოყავდათ თბილისიდან, ათი მანქანა შემოვიდოდა, მერე მათი მძღოლები და სპეცრაზმელები ერთ პიკაპში გადასხდებოდნენ და ცხრას იქ ტოვებდნენ. იმ სპეცრაზმელებს ვერაფერი შევამჩნიე, რომ საბრძოლველად იყვნენ ჩამოსული. „გენერალიტეტის“ წარმომადგენლებს ვთხოვდი გაეყვანათ, რუსები უკვე შემოსულები იყვნენ როკის გვირაბიდან, როგორ უნდა დამეცვა ასეთი ძვირადღირებული ტრანსპორტი. ყურადღება არ მომაქციეს, სამაგიეროდ, ცოტა მოგვიანებით დამიჭირეს და ერთ-ერთ ბრალდებად წამიყენეს, ეს პიკაპები ოსებზე გაყიდეო“.

ავადსახსენებელ „ვარდების რევოლუციამდე“, რომ ფაქტობრივად შერიგებულები იყვნენ ქართველები და ოსები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, უპირველესად ვგულისხმობთ, ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო დაბრუნებასაც, წინ არაფერი ედგა, ყველაზე კარგად შიდა ქართლის მოსახლეობას მოეხსენება. ქართველებისა და ოსების შერიგებას დიდწილად ხელი შეუწყო ე.წ. ერგნეთის ბაზრობის გახსნამ.

ტარიელ თოდაძე: „ეს ბაზრობა თუ გაიხსნა, ჩათვალეთ, რომ ხალხი შერიგებულია. ოსების მხრიდანაც ყველა თანახმაა, ვგულისხმობ იმ ხალხსაც, ვისაც ასე ვთქვათ, სიტყვა ეთქმის ცხინვალში, მოჭიდავეები და სხვა ავტორიტეტული ადამიანები. ოსები ძალიან ნაციონალისტები არიან, უყვართ საკუთარი ხალხი, მათ საკეთილდღეოდ ყველაფერს გააკეთებენ. ბაზრობა თუ გაიხსნა, ყველაფერი ისე დალაგდება, როგორც ადრე იყო.

პირველი საომარი მოქმედებების შემდეგ, ჯავამდე ავდიოდით ქართველები და იქ ვქეიფობდით

8 გვ.

მე, რადიო, განათლების სისტემა და გზა უნივერსიტეტის გავლით ელიავას ბაზრობამდე

6 გვ.

თაობებს არც კი დაესიზმრებათ. როდესაც ბოლონიის პროექტი შემოაგდეს და ჩვენი გოგო-ბიჭები გამოაშტერეს, ხელისუფლება აცხადებდა, სისტემაში კორუფცია მოვსპეთო, თუმცა სწავლის მოსურნეებისთვის

განათლება უფრო გაძვირდა. კი, ბატონო, იყო კორუფცია რაღაც დონეზე, მაგრამ ამ საკითხის მოგვარება მომავალი თაობების გამოშტერების გარეშეც შეიძლებოდა.

მოკლედ, მოვდივარ კახეთიდან ღიღინით, გადაცემის წამყვანი არ მეშვება – ისაო, 2018 წლის მონაცემების თანახმად, 40-მა პროცენტმა საატესტატო გამოცდები ვერ გადალახაო. ვერ გადალახა და ნუ გადალახა, აი დარდი,

სოფლებში იმდენი ნაკვეთებია დასამუშავებელი, ვერც კი დაითვლით. ჰო, კიდევ ვაზია დასარგავი, ხეხილი, საქონელია მოსავლელი. თოხისა და ბარის მუშა რომ გინდოდეს, სანთლით უნდა ეძებო. ბევრი ვიცი, ჩამოვიდნენ დედაქალაქში, ვითომ ისწავლეს, ვითომ დიპლომები აიღეს და ელიავაზე დგანან მუშებად. ერთი ქალი ვიცი, ამოჩემებული ჰქონდა, ჩემი ბიჭები იურისტები უნდა გამოვიდნენო. იწვალა, იჯახირა, დაამთავრებინა და ისინიც ელიავაზე დგანან. პრინციპში, დგანან რა, არც ის იციან, რასაც იბრალებენ. შარშან იყო თუ შარშანწინ, ერთი მლესავი მოვიყვანე სახლში, მოვურიგდი, კედელი გამილესე- მეთქი. არ არი პრობლემაო. ერთი ტომარა გაჯი ჩაყარა ტაშტში, წყალი დაასხა და მიდის, ბაღიდან ბავშვს გამოვიყვან და მოვალ, მანამდე კარგად აფუვდებაო. ვაიმეეე... გავგიჟდი, გადავირიე, ლამის თავზე დავასხი ჯერაც გაუფუებელი გაჯი და გავაგდე. მეორე იყო, „კაფელჩიკი“, მოვარდებოდა დილით, ერთი-ორი საათი წაიმუშავებდა, აცა-ბაცა დააგებდა, უცებ წამოხტებოდა და გავარდებოდა, წიგნსა ვწერ, უნდა დავამთავროო. რა წიგნს წერ-მეთქი? საქართველოს ისტორიასო. როგორც იქნა, გავიდა ბოლოში, წიგნი მაინც ვერ დაამთავრა.

სამი თვის შემდეგ ვნახე ვაკის პარკში, 9 მაისი იყო, ცალ ხელში ნამგლიან-ჩაქუჩიანი წითელი დროშა ეჭირა, მეორეში კიდე სტალინის ჩარჩოიანი სურათი. აი, ასეთი სპეციალისტები დგანან ბლომად ელიავაზე, სამდიპლომიანები და რამე.

ბოლოს მასწავლებლებზეც ვიტყვი ორიოდ სიტყვას და ამით დავამთავრებ: აი, ამათ ხომ საერთოდ გაუტრაკეს საქმე – ახლობელი მყავს სკოლის დირექტორი, რაიონში მუშაობს, ყოველი კვირის ბოლოს დაარბენინებენ თბილისში, ხან სასერთიფიკატო გამოცდებს უტარებენ, ხან კიდევ სასესიოს. თან ჭკუაზე

არიგებენ, რომ ბავშვების უფლებები არ უნდა დაარღვიოს, ხმამაღლა არ უნდა დაელაპარაკოს და ასე შემდეგ. თავისსა და პედაგოგების უფლებებზე არავინ არაფერს ეუბნება. ჰმ... სად იყო, კაცო, ჩვენ დროს სკოლებში პოლიცია, მანდატური და ეგეთი რაღაცები? დირექტორი რომ ჩამოივლიდა ხოლმე, ეგრევე ფეხის წვერებზე ვიდექით. არა, კი არ გვეშინოდა, ხათრი გვქონდა, რიდი გვქონდა, პატივს ვცემდით. თუმცა თუ რამეს დავაშავებდით, გვეშინოდა კიდევაც. შემოქმედებითი მასწავლებლები გვყავდნენ, ავტორიტეტები, სანამ არ წამოვიზარდეთ, გვეგონა, ისინი ტუალეტში არ დადიოდნენ. ახლა რა ხდება? თუ პედაგოგი ჭკვიანად არ მოიქცევა, მოსწავლე-

ები თავს ტუალეტში ჩააყოფინებენ, აქციას მოუწყობენ და საერთოდ დაახევინებენ სკოლიდან. ჩვენ შრომას გვასწავლიდნენ, სკოლის ნაკვეთში თოხსაც გვაბაყუნებინებდნენ და ბარსაც. სამხედრო საქმეს გვასწავლიდნენ, ხელოსნობასაც და ათას რამეს. კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ვფიქრობ, ესეც საკმარისია... მიუხედავად იმისა, რომ კომპიუტერები და მობილურები არ გვქონდა, მაინც მრავალფეროვანი იყო ჩვენი ბავშვობა იმ „შავსა“ და „ბნელ“ პერიოდში.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ერგნეთის ბაზრობა თუ აღდგება, ქართველთა და ოსთა შერიგებას წინ არაფერი დაუდგება

7 გვ.

ერთად, სანამ ამ ნაძირალა ოქრუაშვილმა არ დაკეტა და მოშალა ერგნეთის ბაზრობა. პირველი დაპირისპირება მაგ დროს მოხდა, 2004 წლის ზაფხულში, როცა ქართველი პოლიციელები ცხინვალში დააჩოქეს. 2006 წელსაც იყო პატარ-პატარა შეტაკებები, მერე რა უბედურებაც მოხდა, კი იცით. ჩვენს მთავრობას თუ უნდა, რომ ოსურ მხარესთან შერიგება მოხდეს, ეს ბაზრობა აუცილებლად უნდა აღდგეს, ეს ოსებსაც ძალიან უნდათ. არ დაიჯეროთ, რომ რუსებს არ უნდათ ქართველებისა და ოსების შერიგება, ან თვითონ არ უნდათ ქართველებთან ურთიერთობა. ადრეც გითხარით, მე ომის დღეებშიც არ დამიტოვებია გორი, რუსები რომ შემოვიდნენ, პირველად ჩემს სახლთან გამოიარეს. მაგათ ხომ იცით ენაზე აკერიათ გინება, მაგრამ ქართველებისთვის ერთი ავი სიტყვა არ უკადრებიათ, არც ოფიცერს და არც ჯარისკაცს, არ ვიცი, შეიძლება გაფრთხილებულები ყავდა ხელმძღვანელობას. როგორც გავიგე საქართველოს მთავრობასაც უნდა ბაზრობის გახსნა, მაგრამ ვერ თანხმდებიან სად იქნება საბაჟო-გამშვები პუნქტი, ერგნეთის ბაზრობასთან თუ როკის გვირაბის შესასვლელთან, ქართულ მხარეს აქ უნდა რომ გაკეთდეს, მაგრამ მეორე მხარე წინააღმდეგია. საქმე იმაშია, რომ იქ ოსები ვერაფერს წყვტენ, ყველაფერს კულახმეტოვი წყვეტს, რუსეთის ელჩი ე.წ. სამხრეთ ოსეთში. აგვისტოს ომის დროს, ქართველები რომ გამოდევნეს, სოფელი თამარაშენი მთლიანად დანგრეული, მიწასთან იყო გასწორებული. რუსებმა იქ ხუთსართულიანი კორპუსები ჩადგეს, სადაც სამხედრო ოფიცრების ოჯახები ცხოვრობენ, სამხედრო ბაზა რომ გააკეთეს რუსებმა, იქ მომსახურე ოფიცრების ოჯახები. დათანხმდებიან კი რუსები, რომ საბაჟო როკის გვირაბთან გაიხსნას და ის ტერიტორია, სადაც რუსული ბაზარი, ქართველებმა გააკონტროლონ? ისე, სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს (2011 წლის 9 ოქტომბერი) ჰქონია ხელი მოწერილი ქართულ მხარეს შეთანხმებაზე, რომ ერგნეთთან გაიხსნას საბაჟო“.

ბატონო ტარიელ, როკის გვირაბის გახსნაზე რას ფიქრობთ, რუსეთიდან მომავალმა ტვირთებმა ამ მიმართულებით იმოძრაონ?

დაახლოებით სამი წლის წინ იყო მაგ თემაზე საუბარი, სომხეთის იმჟამინდელი პრეზიდენტი ითხოვდა, სომხეთის ტვირთებმა როკის გვირაბის გავლით იმოძრაოსო. ბორჯომი და საერთოდ სამცხე-ჯავახეთი მანდ ახლოს არის და მოკლე გზით გადავა სომხეთშიო, მით უმეტეს, ეგ გვირაბი და გზა ზამთარში არ იკეტება, მთელი წელი შეფერხების გარეშე იმოძრავებენ. გვირაბის გახსნა და მაგ გზის სომხური ტვირთებისთვის დათმობა ძალიან დიდი საფრთხის მატარებელია. მაგათ თუ „დაითრიეს“ ეგ გზა, უკან წამსვლელები აღარ არიან.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

აფერისტი ბანკიდან

თქვენს შავ და თეთრ მილიონებს გაფიცებთ, ბატონო მამუკა, ვინ დაგიწერათ თქვენ ეს მზაკვრული და ფარისევლური სცენარი და ვინ გირჩიათ, პოლიტიკურს მიაწექი, პოლიტიკურს, თორემ შენი საქმე დამთავრებულიაო?!.

ვახტანგ ხარჩილავა:

მამუკა ხაზარაძის მისამართით როგორც კი პირველი საგანგაშო რეპლიკა გაისმა ეროვნული ბანკისა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან, ხაზარაძეს მისმა კეთილისმყოფელებმა, მისმა საიდუმლო მეგობრებმა და იატაკქვეშა მრჩეველებმა, ხმამაღლა მოუწოდეს, არ გაჩუმებულიყო და საზოგადოების სააშკარაოზე გამოეტანა ყველა ის საკითხი, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო „თიბისი ბანკთან“ და პირადად მასთან ხელისუფლების და ბიძინა ივანიშვილის დაპირისპირების მიზეზი.

ოპოზიციური პარტიების, მედიის, განსაკუთრებით, „რუსთავი-2“-ისა და მისი თავკაცის ნიკა გვარამიას დაჟინებული შეგონებისა და წაქეზების მიუხედავად, ხაზარაძე კარგა ხანს დუმდა, მაგრამ ბოლოს მაინც გატყდა და ხმა ამოიღო, მაგრამ ვაი ამ ხმის ამოღებას — ხაზარაძემ მისი „დევნის“ მიზეზად ისეთი სულელური

არგუმენტები დაასახელა რომ სჯობდა, ჩუმად ყოფილიყო და ჩუმად დალოდებოდა პროცესების განვითარებას.

ხაზარაძის მტკიცებით, ფულის გათეთრების (17 მილიონის) ისტორია არც არსებობს, არც მას და არც ჯაფარიძეს არანაირი კანონდარღვევა არ ჩაუდენიათ, სინამდვილეში ყველაფერი ანაკლია პორტის მშენებლობის თემას უკავშირდება, რომლის აშენების კატეგორიული მოწინააღმდეგე ყოფილა თურმე რუსეთი, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ამ საუკუნის პროექტს როგორმე მამუკა ხაზარაძე ჩამოაშოროს და პორტის მშენებლობა გაჩერდეს.

ნახეთ, რა ხდება — ხაზარაძის მიერ წარმოდგენილი ვერსიით, ფინანსურ მაქინაციებში ეჭვმიტანილი ბანკირი ხაზარაძე, ბანკირობიდან უცებ პოლიტიკურ ფიგურად იქცა, რომელსაც ოკუპანტი რუსეთი უპირისპირდება და ამ პატრიოტ კაცს საშუალებას არ აძლევს, მის სამშობლოს ღრმაწყლოვანი პორტი აუშენოს.

ხაზარაძე კი არა, მამუკა თავდადებული, ან მამუკა არსუკიძე უნდა ერქვას ამ კაცს...

როგორ მალავდა, როგორ არ ამბობდა ხმამაღლა, თუ რა ცეცხლი და გეენა უტრიალებდა გულში ოკუპანტი ქვეყნისგან დევნილს და შევიწროებულს, რა არნახულ ზეწოლას უძლებდა ჩუმად და უდრტვინველად, რა სასტიკ ძალებს უსწორდებოდა მარტოდმარტო, რომ პორტის მშენებლობა გადაერჩინა, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა.

შეხედეთ, რა სურათი იხატება — ფინანსისტი, ბანკირი და მშენებელი მამუკა ხაზარაძე, სინამდვილეში, თურმე პოლიტიკური ფიგურა, პოლიტიკოსი ყოფილა, რომელსაც ოკუპანტ რუსეთთან აქამდე გასაიდუმლოებული სამკვდრო-სასიცოცხლო ომი ჰქონია. ამ ახლად გამომცხვარ პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოს ხაზარაძეს კი რუსეთი ბიძინა ივანიშვილის ხელითY უპირებს თურმე განადგურებას.

ფრონტის ხაზი გავლებულია — აქეთ ოკუპანტთან მებრძოლი პროდასავლური ორიენტაციის გმირი ხაზარაძე — იქით ოკუპანტთან საიდუმლო კავშირით შეკრული „მოღალატე“ ივანიშვილი.

თქვენს შავ და თეთრ მილიონებს გაფიცებთ, ბატონო მამუკა, ვინ დაგიწერათ თქვენ ეს მზაკვრული და ფარისევლური სცენარი და ვინ გირჩიათ, პოლიტიკურს მიაწექი, პოლიტიკურს, თორემ შენი საქმე დამთავრებულიაო?!.

ამ თქვენს განცხადებას რომ ვკითხულობ, „ნაცმოძრაობის“ და „რუსთავი-2“-ის სუნი მცემს რაღაც და ხომ არ მეშლება, ბატონო ხაზარაძევ?

წარმომიდგენია, რა სკანდალურ გადაცემებს გამოაცხობს დემაგოგი გვარამია წინასწარ დაგეგმილი და პროვოცირებული ამ ბატალიების ფონზე...

რა აზრი აქვს ასეთ ტყუილს, დღეს რომ იტყვი და ხვალ რომ საპნის ბუშტივით გასკდება?

ხაზარაძემ ანაკლიის პორტთან დაკავშირებით ისეთი ტყუილი თქვა, მთელმა ქვეყანამ რომ იცის — ტყუილია.

ის, რის გადაბრალებასაც ხაზარაძე ახლა რუსეთისთვის ცდილობს, თავიდან ბოლომდე მამუკა ხაზარაძის და კიდევ ორი კაცის — გიორგი კვირიკაშვილის და დიმიტრი ქუმსიშვილის მაქინაციების შედეგია.

მოვუსმინოთ კონსორციუმ „ანაკლია პორტი და ეკო პარკის“ პრეზიდენტს ბატონ **თეიმურაზ ქარჩავას**.



— ის, რომ, „ხაზარაძე და კონტი ჯგუფი“ ანაკლიაში პორტის ამშენებლები არ იყვნენ, ჩემთვის, მათი ტენდერში გამოჩენისთანავე იყო ცნობილი!

აი, ასეთი უპასუხისმგებლო მონაწილე გამოაცხადეს ტენდერში გამარჯვებულად (სინამდვილეში „ანაკლია პორტის“ ტენდერს გამარჯვებული არ ჰყოლია, რადგან, როგორც ზემოთ ვახსენე, ჩვენი კონსორციუმი, ქვეყნის მთავრობისგან სატენდერო პირობებზე უმნიშვნელოვანეს კითხვებზე პასუხების მოლოდინში თამაშგარედ დატოვეს).

როცა, ისინი, ჩემი კონსორციუმის წევრებს მიადგნენ ფულის სამათხოვროდ, მაშინ მივხვდი, რა დონის ავანტიურისტებთან გვქონდა საქმე.

— ყურადღება მიაქციეთ, რა მოთხოვნებს უყენებდა ქვეყნის მთავრობა ტენდერში გამარჯვებულს და როგორ შესრულდა იგი:

„ანაკლია პორტის“ ტენდერის პირობებით, გამარჯვებულს „ხელმოწერის თარიღიდან არა უგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა, გამარჯვებულმა ეკონომიკის სამინისტროს მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ მითითებულ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით უნდა გადაიხადოს აუნაზღაურებადი ხელმოწერის ბონუსი 3.000.000

(სამი მილიონი დოლარის) აშშ დოლარის ოდენობით.“

ამის გარდა ტენდერში გამარჯვებულს მზადყოფნაში უნდა ჰქონოდა — **„წინასამშენებლო გარანტია ერთი წლის ვადით 20 მილიონის ოდენობით. პერფორმანს გარანტია 20 მილიონის ოდენობით ყოველი გაფართოების ფაზისათვის. დამატბითი პერფორმანს გარანტია 40 მილიონის ოდენობით, რომელიც მთელ საინვესტიციო პერიოდზე ვრცელდება.“**

ტენდერში „გამარჯვებულ“ „კონტი-ჯგუფს“, იგივე „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“, არცერთი ეს პირობა არ ჰქონდა შესრულებული, ისე გამოაცხადეს გამარჯვებულად.

ვიდრე „ანაკლია პორტის“ მშენებლობის ახალ შესაძლებლობაზე ჩამოვაგდებდეთ სიტყვას, უნდა შეიქმნას სამთავრობო კომისია, სადაც მიუკერძოებელი უცხოელი აუდიტი ჩაერთვება. დეტალურად უნდა იქნას შესწავლილი, როგორ მოხდა უფულო კონსორციუმის ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადება, რა გაკეთდა 2016 წლის 5 თებერვლიდან დღემდე, ვისი და რა ოდენობის თანხები დაიხარჯა ანაკლიაში ჩატარებულ სამუშაოებზე, მოსახლეობის გასახლებისთვის გადახდილი კომპენსაციის ჩათვლით!

ხომ არ ავიწყდება მთავრობას, სააკაშვილის რეჟიმის მიერ, ჩემი კომპანიისთვის უკანონოდ ჩამორთმეული პორტის ასაშენებელი მიწების საკითხი, დღემდე სასამართლო პროცესებს რომ ელოდება?

აქამდე ვიმედოვნებდი საქმე დაიძვრებოდა, მაგრამ, დღეს, როცა ყველაფერი გამოაშკარავდა და ცხადია ესენი ანაკლიაში პორტის ამშენებლები არ არიან, მივმართავ პროკურატურას და სასამართლოს დაუყოვნებლივ განიხილონ ჩემი კომპანიისთვის უკანონოდ ჩამორთმეული 2100 ჰექტარი მიწის ფართობის საკითხი!“

●

ხედავთ, რაში ყოფილა საქმე, პატივცემულო მკითხველო?

რა ჰქვია ამას, რაც ამ შესანიშნავმა სამეულმა ჩაიდინა, თუ არა აფერისტობა და თაღლითობა.

ხაზარაძე ახლა რუსეთისთვის გადაბრალებით ცდილობს გამოძვრეს იმ საგანგაშო სიტუაციიდან, რაც ანაკლია-პორტის მშენებლობასთან დაკავშირებით სწორედ მისი და მისი ამფსონების მაქინაციების შედეგად შეიქმნა.

გარწმუნებთ, არ გამოუვათ ხაზარაძეს, კვირიკაშვილს და ქუმსიშვილს საუკუნის პროექტის გარშემო დატრიალებული ეს საუკუნის აფიორა.

ხაზარაძისთვის ეს პირველი აფიორა არ არის.

როგორც ამბობენ, აფიორა და მაქინაციები მისი ცხოვრების სტილია და თავისი საბანკო და საფინანსო მოღვაწეობის მანძილზე მას არაერთხელ გადაუხვევია კანონისა და სამართალისთვის.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ახლო ხანებში იმდენი მომჩივანი გაუჩნდება ხაზარაძეს, იმდენი მის მიერ დაჩაგრული ადამიანი გამოჩნდება, გაგიკვირდებათ, აქამდე რატომ არ მიაკითხა სამართალმა ამ ზნემრუდე კაცს?

— აქამდე „თიბისი ბანკი“ იდგა ქართველი ხალხის გვერდით, ახლა დროა, ქართველი ხალხი დადგეს „თიბისი ბანკის“ გვერდით. — განაცხადა აწ უკვე პოლიტიკაში შემოჭრილმა ხაზარაძემ.

უყურე შენ, ქართველ ხალს „თიბისი ბანკის“ ვალი ჰქონია თურმე, ახლა კი ამ ვალის გადახდის დრო დამდგარა.

ვერ გეტყვით, რას უწოდებს ბატონი მამუკა „თიბისი ბანკის“ მხრიდან ქართველი ხალხის გვერდით დგომას.

იმას ხომ არა, „უბორნიის პოეტებს“ და ლიტერატურულ ჩუკენობაში დაოსტატებულ პლაგიატებს პრემიებს რომ ურიგებდა?

თუ ვინმეს აქვს თქვენი ვალი, აი, მაგათ აქვთ და მოსთხოვეთ, უკან დაგიბრუნონ, ქართველ ხალხს კი თქვენს აფერისტობებსა და მაქინაციებში ნუ გარევთ!

რატომ ჰგონია ზოგიერთს, რომ ქართველები ყველაზე ცუდები ვართ მსოფლიოში?!

ჩვენს ირგვლივ ადამიანები უიმედობასა და მოვლენებისადმი უინტერესო დამოკიდებულებას ამჟღავნებენ. განსაკუთრებით თვალშისაცემია საკუთარი თავის უნდობლობა, უიმედობა და იმის განცდაა, რომ ჩვენ არაფრის შეცვლა არ შეგვიძლია.

უფრო სამწუხარო და შემაშფოთებელი არის ის, რომ ადამიანებმა დაკარგეს საკუთარი თავის რწმენა და თვითშეფასების უნარი. ხშირად გაიგონებთ: ქართველები ზარმაცები ვართ, გაუტანლები, არ შეგვიძლია საკუთარი თავის, ოჯახის და ქვეყნის პატრონობა და ა. შ.

მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ენათმეცნიერების პროფესორი, ლინგვისტი, ფილოსოფოსი, საზოგადო მოღვაწე, მრავალი წიგნისა და ანალიტიკური სტატიის ავტორი, ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მოაზროვნე **ნოამ ხომსკი** აღწერს, თუ როგორ ხდება დღევანდელ მსოფლიოში ადამიანთა გონების და მოქმედებათა მანიპულირება გარკვეული ძალების მიერ.

პირველი: ჟურადღების გადატანა

ეს არის საზოგადოების მართვის უმთავრესი ელემენტი. ძირითადი მოვლენებისგან სხვა, უფრო ნაკლებად მნიშვნელოვან ფაქტებზე მოსახლეობის ყურადრების გადატანა.

ნაკლებადმნიშვნელოვანი ინფორმაციების მიწოდება საზოგადოებისთვის საჭიროა იმიტომ, რომ შესაძლებლობა არ მიეცეს მოსახლეობას, მიიღოს შემეცნებითი ხასიათის ინფორმაციები, სიახლეები და ცნობები თანამედროვე ფილოსოფიური აზროვნების, მეცნიერების, ეკონომიკის, ფსიქოლოგიის, ნეირობიოლოგიის, კიბერნეტიკის და ა.შ. შესახებ.

ამის ნაცვლად საინფორმაციო სივრცე სავსეა სპორტის, შოუ-ბიზნესის, მისტიკის და ამ ტიპის სხვა ინფორმაციებით, რომლებიც დამყარებულია ადამიანის რელიქტურ (ძირძველ) ინსტინქტებზე ეროტიკიდან დაწყებული მძაფრი პორნოგრაფიოით დამთავრებული, წვრილი საყოფაცხოვრებო სიუჟეტების თანხლებით.

მეორე: იქმნება პრობლემა „სიტუაცია“

ის გათვლილია იმაზე, რომ გამოიწვიოს გარკვეული რეაქცია მოსახლეობაში, რომ მერე თვითონ მიიღონ ისეთი ზომები, რაც ხელსაყრელი იქნება მმართველი წრეებისთვის.

მაგალითად, დაუშვან ქალაქში ორგანიზებული ტერაქტები, რომ მოქალაქეებმა მოითხოვონ უსაფრთხოების ზომების გამკაცრება და ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც არ დაარღვევს მოქალაქეთა თავისუფლებას. ანდა გამოიწვევენ ეკონომიკურ, ტერორისტულ ან ტექნოლოგიურ კრიზისებს, რომ აიძულონ ხალხი მიიღონ ზომები ამ კრიზისების ლიკვიდაციისთვის. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ კრიზისები თავისით არ ჩნდება.

მესამე: თანმიმდევრულობა

ცდილობენ, მიიღონ არაპოპულარული ზომები ყოველ დღე, ყოველ წელს. ასეთი მეთოდებით იქმნება ახალი სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების პირობები, იგივე ნეოლიბერალიზმი, რაც განხორციელდა კიდეც 1980–90-იან წლებში და გულისხმობდა სახელმწიფოს ფუნქციების დაკნინებას, პრივატიზაციას, უნდობლობას, არასტაბილურ გარემოს, მასობრივ უმუშევრობას, ანაზღაურებას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ნორმალური ცხოვრების პირობებს. ყოველივე ეს ერთბაშად რომ განხორციელებულიყო, აუცილებლად მივიდოდა მოსახლეობა მასობრივ და ტოტალურ რევოლუციამდე.

მეოთხე: დაპირების შეუსრულებლობა

კიდევ ერთი საშუალება არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღებისა იმაში მდგომარეობს, რომ მოსახლეობამ ნებისმიერი პრობლემა მიიჩნიოს „მტკივნეულ და გადაუჭრელ“ დილემად და კონკრეტულ მომენტში მიიღონ მოქალაქეების თანხმობა ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრის აუცილებლობაზე, თითქოსდა ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყოს.

ხალხში მუდმივად არსებობს იმედი: „ხვალ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება“ და იმ მსხვერპლისგან, რომელსაც მათგან მოითხოვენ, თავის დაღწევა შესაძლებელი იქნება. ეს საშუალებას აძლევს მოსახლეობას, შეეგუონ აზრს, რომ ცვლილებები მოხდება მაშინ, როცა საჭირო იქნება.

მეხუთე: საზოგადოების ინფანტილიზაცია

უმრავლესი პროპაგანდისტული გამოსვლებისას, რომელიც პუბლიკაზე ზემოქმედების მოხდენაზეა გათვლილი, გამოიყენება ისეთი არგუმენტები, პერსონაჟები, სიტყვები და ინტონაციებიც კი, თითქოსდა საუბარია სკოლის გონებაშეზღუდულ და განვითარებაშეფერხებულ მოსწავლეებთან ან არასრულყოფილად განვითარებული გონებრივი შესაძლებლობების ინდივიდუუმებთან.

რაც უფრო მძაფრი იქნება ასეთი სახის მიდგომები მსმენელებზე, მით უფრო მეტი განეწყობა ინფანტილურად და გულგრილად პროპაგანდისადმი. რადგან, თუ ზრდასრულ ადამიანს მოექცევი ისე, თითქოს იყოს 12 წლის მოზარდი, სავარაუდოდ, მისი პასუხი ან სხვა სახის რეაქცია გასცდება კრიტიკულ შეფასებას და ბავშვის ხასიათს მიემსგავსება.

მეექვსე: ზეწოლა ემოციებზე

ემოციებზე ზეწოლა ნეიროლინგვისტური პროგრამირების კლასიკურ ნიმუშად ითვლება, რაც მიმართულია იქითკენ, რომ დაბლოკონ ადამიანთა შესაძლებლობები რაციონალური ანალიზისადმი, ხოლო, საბოლოო ჯამში, შეზღუდონ მათში მომხდარის მიმართ კრიტიკული შეფასების ქონის შესაძლებლობანი.

მეორე მხრივ, ემოციონალური ფაქტორის გამოყენებით ცდილობენ გასხნან ადამიანის ცნობიერების კარი იმისთვის, რომ დანერგონ მათ გონებაში აზრები, სურვილები, შიშები, შფოთი, იძულებითი ან განმეორებითი ქცევის მოდელი. მუდმივად იმის მტკიცება, რომ მიუღებელია ტერორიზმი, საშინელებაა, რომ ადამიანები შიმშილობენ, უსამართლოა ხელისუფლება და დამცირებულნი რჩებიან კადრს მიღმა მომხდარის ჭეშმარიტი მიზეზების გაგების გარეშე, რადგან ემოცია ლოგიკის პირდაპირი მტერია.

მეშვიდე: მოსახლეობის დებილიზაცია

მთავარი სტრატეგია მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანები გახადონ ქმეუუნარო, მიიღონ ახალი მეთოდები, რომლებიც გამოიყენება მათ მართვაში.

განათლების ხარისხი, რომელიც დაბალი საზოგადოებრივი ფენებისთვისაა განკუთვნილი. განათლება უნდა იყოს რაც შეიძლება უღიმღამო, რომ მიჯნა დაბალი საზოგადოებრივი ფენისა მაღალ ფენასთან ვერ გადალახოს დაბალმა ფენამ.

მერვე: დაბალი გემოვნების მოდის ხელშეწყობა

ხელისუფლებები ცდილობენ დანერგონ შეხედულება იმის შესახებ, რომ მოდურია სულელად, ვულგარულად, გაუზრდელად მოქცევა. ეს საშუალება გამოიყენება ნებისმიერ სოციალურ ფენაში რელიგიიდან და მეცნიერებიდან დაწყებული ხელოვნებით და პოლიტიკით დამთავრებული.

სკანდალები, ყვითელი პრესა, ჯადოქრობა და მაგია, ორაზროვანი იუმორი და პოპულისტური აქციები ქუჩებში — ყოველივე ეს მიმართულია ერთი მიზნისკენ: არ დაუშვან, რომ ადამიანებს მიეცეთ შესაძლებლობა გაიფართოვონ ცნობიერება სამყაროს უკიდეგანო საზღვრებში.

მეცხრე: დანაშაულის გრძნობის კულტივაცია

კიდევ ერთი დავალება — მიიყვანონ ადამიანი იმ აზრამდე, რომ მხოლოდ თვითონ არის დამნაშავე საკუთარ უბედურებებში, რომელიც თითქოსდა მისი გონების შესაძლებლობების უკმარისობისა და ნაკლები ძალისხმევის გამო დაემართა.

შედეგად: იმის მაგივრად, რომ წინ აღუდგეს უსამართლო ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემას, ადამიანი იწყებს თვითგანადგურებას, საკუთარი თავის დადანაშაულებას, რომ თვითონ არის ყველაფერში დამნაშავე, თავისი უმოქმდეობით და უნიათობით.

მეათე: ადამიანის ბუნების სრულყოფილი ცოდნა

ბოლო 50 წელიწადია, მეცნიერების განვითარების მიღწევები მივიდა ჩვეულებრივი ადამიანის ცოდნისა და ინფორმაციის მზარდი უფსკრულის ჩამოყალიბებამდე, რომელსაც ფლობს და იყენებს გაბატონებული კლასები ჩვენს საზოგადოებაში.

ბიოლოგიის და ნეირობიოლოგიის დამსახურებით, სისტემამ შეძლო უფრო ბევრის გაგება ჩვეულებრივ ადამიანზე იმაზე მეტად, ვიდრე თავად ადამიანი იცნობს საკუთარ თავს.

ეს ნიშნავს იმას, რომ ხშირ შემთხვევებში სისტემა უფრო მეტ ძალაუფლებას ფლობს ადამიანებზე, ვიდრე თავად ადამიანები თავის თავზე.



ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

კაცი „ზაგოზერნოდან“ ანუ ასინეთურ-კოკინაშვილური მოძრაობის ანატომია საინფორმაციო ჭრილში

ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიაში“ ასინეთა რომ არის, გახსოვთ, ხომ? არქიფო სეთური მას აძლევს ასეთ დავალებას:

„შედი კოკინაშვილისას და მის პელაგიას შეაპარე ლაპარაკში, ამ დილას სპირიდონა სულანჯია მიტომ დასაჯეს, არქიფოზე ულაპარაკია რაღაც და მისი ნალაპარაკევი თაბაგართან კოლპინოვს მიუტანია-თქვა. კოკინაშვილის პელაგია თუ არ იქნა შინ, კოლპინოვებისას შედი და მის ტერეზიას შეაპარე ლაპარაკში, სპირიდონა სულანჯიას ნათქვამი თაბაგართან კოკინაშვილმა მიიტანა-თქვა. უკულმაა ეს, მარა სულერთია“.

აი, მეგობრებო, ეს გახლავთ კლასიკური ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა გავრცელდეს ჭორი, რათა ადამიანებს შეუჩნდეთ ეჭვის ჭია და შემდეგ ერთმანეთს დაერიონ, ერთმანეთი შესძულდეთ. სწორედ ამ მეთოდს იყენებს „ნაციონალური მოძრაობა“ ბიძინა

ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ, რაც ძალიან ეფექტურია რეგიონებში, რაიონებსა თუ სოფლებში. რა შინაარსით ავრცელებენ მიხოს მოციქულები ინფორმაციას, ანუ ჭორს? გაჩნია, რა პერიოდია, წელიწადის რომელი დრო და გლეხს რა აწუხებს მოცემულ მომენტში. მაგალითად, 2012 წლიდან მოყოლებული, კახეთში რთვლის დროს სპეციალურად დადიან ე.წ. ასინეთები და კოკინაშვილებს არწმუნებენ, ყველა მარანი ბიძინამ იყიდა, წელს კილო ყურძენს 50 კაპეიკად ჩაიბარებს მხოლოდო, თუ გახსოვთ, მიშას დროს ლარზე ნაკლები არ იყოო. კოკინაშვილი გადავა კიკინაშვილებთან, იტყვის, ყველა მარანი ივანიშვილმა იყიდაო, მეორე დღეს კიკინაშვილი შეხვდება კოკინაშვილს სადალაქოში და მოუყვება, რამდენ მილიონად იყიდა ივანიშვილმა ყველა მარანი, თან დაამატებს, რომ ამ გარიგების თაობაზე თურმე ზაზა ოქუაშვილმა უთხრა ნიკანორ მელიას, ხოლო მელია მოუყვა მეგი გოცირიძეს, რომლის მული ყოფილა ფაჩიკოანთ რაჟდენას რძლის დაქალის შორეული ნათესავი. კოკინაშვილი თავს გადააქნევს და ამოიოხრებს: ნწუ, ნწუ, ნწუ-ო. მორჩა, ინფორმაცია „ხოდშია“. ამ დროს მე ჩავალ კახეთში და მომიყვებიან ამ ამბის შესახებ. თან აქეთ მომდგებიან – მა ეს არი ცხოვრებაო? მა ამასა გვპირდებოდა ივანიშვილიო?! დავიწყებ ახსნას, რომ ეს არის ჭორი, სიცრუე, ტყუილი, თითიდან გამოწოვილი... თითქოს დამიჯერებენ, მაგრამ გლეხების თვალებში მაინც დარჩება უნდობლობა. ყურძენს მოკრეფენ, ჩააბარებენ, დააბინავებენ, მარნების ამბავი მომავალ რთვლამდე ყველას გადაავიწყდება... თუმცა ამასობაში მაინც გამოიძებნება თემა, რომლის გარშემოც ისევ აგორდება „სკანდალი“ – მაგალითად, ე.წ. ასინეთები მიადგებიან კოკინაშვილებს და თავიანთებურად „დაამუშავებენ“, რომ „ტეხასმოტრიდან“ ყოველ მანქანაზე 10 ლარი ბიძინასია. თან კარგად გააფორმებენ – განა ივანიშვილს გამართული მანქანების დარდი აქვს? არა, კაცო, მაგას ოღონდ ფულის კეთების საშუალება მიეცი და მთელ ქვეყანას თავზე დაიმხობს, აგე, რა ქნა აჭარაში, ვერ მოთხარა ხეები და წაიღო თავის ეზოში?! ე.წ. ბიძინოფობია „მასოვკაზე“ მაგრად მუშაობს, როგორ იმუშავა გრიგოლ ვაშაძისეულმა 400-ლარიანმა პენსიამ. გლეხებმა იცოდნენ, როგორ არ იცოდნენ, რომ ეს მტკნარი სიცრუე იყო, მაგრამ მათ ყურებს იმდენად სასიამოვნოდ ხვდებოდა, მაინც იჯერებდნენ. დიახ, როცა ჩვენ ამაზე ვიცინოდით, გლეხები ვაშაძეს ხაზავდნენ საარჩევნო ურნასთან. ნახეთ, როგორი უფრო დამაჯერებელი ლოზუნგი შესთავაზეს მოსახლეობას ვირეშმაკებმა – 400-ლარიან პენსიასა და თქვენს შორის ბიძინა ივანიშვილი დგასო. ესე იგი, როგორც კი ჩვენ აგვირჩევთ, ბიძინას მოვაშორებთ და პენსიასთან პირისპირ დაგტოვებთო. ვიმეორებ, ყველამ იცოდა, რომ პრეზიდენტს პენსიის გაზრდის უფლება არ გააჩნია, მაგრამ ეს ყველაფერი სასიამოვნო მოსასმენი იყო. ჩვენში ადამიანებს უყვართ თავის მოტყუება, თუკი ტყუილი სასიამოვნოა. ადრე ერთ მედოლეს ვიცნობდი, ქორწილებსა და ქელეხებში უკრავდა თავის ძმაკაცებთან ერთად – კლარნეტისტთან და მეგარმონესთან. ერთხელაც რესტორანში უკრავენ და საქეიფოდ „ზაგოზერნოს“ დირექტორი შევიდა. „მუზიკანტებს“ თავიდანვე მოელაპარაკა, ამაღამ რასაც გეტყვით, დაუკარით და პატივისცემა ჩემზე იყოს, თუ გინდათ, ხვალ ფულს მოგცემთ, თუ გინდათ, ნატურით გადაგიხდით, ფქვილით, ხორბლით, ქატოთი და ასე შემდეგო. გაგვიხარდაო, კაცო, ძაან მაგრად გაგვისწორდა და მთელი ღამე ვუბრახუნე დოლსაო, მიყვება ჩემი ნაცნობი. „ზაგოზერნოს“ დირექტორმა კარგად მოილხინა, ნასიამოვნები დარჩა და მეორე დღეს მივადექით იმ იმედით, რომ ან ფულს მოგვცემდა, ან კიდევ ფქვილსაო. გამოვიდა თურმე „პახმელიაზე“ მყოფი, თვალებდასიებული დირექტორი და საკითხი დასვა ასე: რა უნდა მოგცეთ, ბიჭებო, როდესაც თქვენ უკრავდით, ხომ მიხაროდაო? კი, ნამდვილად გიხაროდაო, – დაუდასტურებიათ ამათაც. როდესაც მე გპირდებოდით, ხომ გიხაროდათო? კი, გვიხაროდაო, – დაუკრავთ კვერი ამათ. ჰოდა, ყველანი გახარებულები დავრჩით, ეხლა რაღა ჩემ ფეხებსა მთხოვთო?! ჰოდა, ამით იმის თქმა მინდა, რომ გრიგოლ ვაშაძე „ზაგოზერნოს“ დირექტორივით მოიქცა, თუ პრეზიდენტი გახდებოდა, მერე იტყოდა, ყველანი გახარებულები დავრჩით, ეხლა რაღა ჩემ ფეხებსა მთხოვთო?!

რაც უფრო სულელური და მარტივია გადმოგდებულ-შემოგდებული ინფორმაცია, კოკინაშვილები და კიკინაშვილები უფრო იჯერებენ, მერე კი სხვებსაც აჯერებენ. აი, ხომ დაუფარა 600 ათას ადამიანს ივანიშვილმა ბანკის ვალები? დაუფარა, გაუნულა, მაგრამ ხალხში რა ჭორები გავრცელდა? ჯერ ერთი, იმიტომ გაუნულა, რომ არჩევნებისთვის ხალხი მოისყიდა და მეორეც – იმიტომ გაუნულა, რომ თითო განულებულზე 10 ლარი მაგის ყულაბაში წავიდაო. ბიჯოოოო... ესეც დაიჯერეს კოკინაშვილებმა, ამ შტერებმა, ჯერ ერთი, ივანიშვილმა ვინმეს ხელწერილი დააწერინა, ხმა სალომეს მიეცი და ვალს დაგიფარავო? ვინმეს პირობა ჩამოართვა, თუ ხმას ზურაბიშვილს არ მისცემ, არ დაგეხმარებიო? კაცი ადგა და გადაიხადა, იქ „ნაცებიც“ მოჰყვნენ და „ქოცებიც“, მაიმუნებიც, ინდაურებიც და კეთილშობილებიც, წესიერებიც. მოსყიდვა მაშინ იქნებოდა, „ღრიღოლივით“ ვირეშმაკულად

რომ მოქცეულიყო, სამცხე-ჯავახეთში „ტუფტა“ სერთიფიკატები დაერიგებინა, ხალხისთვის ხელი მოეწერებინებინა და ეთქვა, ვალებს არჩევნების შემდეგ დაგიფარავთო. მეორეც – აბა, დავფიქრდეთ, კაცი ფულს თვითონ იხდიდა და თითო განულებულზე 10 ლარი რანაირად უნდა დარჩენოდა?!

ჰოდა, იცით, კოკინაშვილებში კიდევ რა ჭორი გავრცელდა? თურმე ბიძინას ზაზა ოქუაშვილისთვის ოთხი თითი რომ უჩვენებია, ოთხი მილიონი მინდა დოლარებშიო, ეხლა კიდე მამუკა ხაზარაძისთვის სამი თითი უჩვენებია, სამი მილიონი მინდა სტერლინგებში თუ ევროებშიო. არქიფოს უთქვამს ასინეთასთვის, კოკინაშვილებში რომ გადახვალ, სტერლინგები ახსენე ხშირად, მამუკას ბანკი ლონდონის ბირჟაზეა დარეგისტრირებული და უფრო დამაჯერებელი იქნებაო. მერე კოკინაშვილმა გადარეკოს თავის ნათესავ სულანჯიასთან ზუგდიდში და უთხრას, რომ ეს ამბავი გიგლა უგულავამ გამოიტანა თავისი პირით სოლოლაკის სასახლიდანო, შემთხვევით შეესწრო ხაზარაძისა და ივანიშვილის კამათსო. ასინეთას უკითხავს არქიფოსთვის, მამავ და მარჩენალო, სტერლინგი რომ ვერ გაიგოს კოკინაშვილმა, რა ვქნაო? უთხარი, რომ ჩვეულებრივი ფულია ანგლიაშიო. ჰო, კიდევ დაამატე, რომ იმ კვირის ბოლო შაბათს მიხეილ სააკაშვილი მოდის ემიგრანტებთან ერთად „ჩერეზ“ სარფის საბაჟოო, – დაურიგებია ჭკუაზე არქიფოს. ამ ჭორის დედააზრი ის გახლავთ, მეგობრებო, რომ ბიძინას უნდა ხაზარაძის ბანკის დათრევა, გაკოტრება და იქ „კარფურის“ გახსნა. ნეტა რათ უნდა ბიძინას ეგ შენობა, თვითონ ვერ ააშენებს? – შეიძლება იკითხოს ყველაზე ჭკვიანმა გლეხმა და მართალიც იქნება. კოკინაშვილს ამაზეც აქვს პასუხი მზად. ესე იგი, ივანიშვილი ამით იჭერს სამ კურდღელს – იშორებს ხაზარაძეს, რომელიც თურმე „ნაცმოძრაობის“ აქციებს აფინანსებდა რუსთაველზე, იშორებს კონკურენტ ბანკს და აშენებს „კარფურს“. ჰა, რავარია, ხომ არის დამაჯერებელი? თან არ დაგავიწყდეთ, როდესაც ბიძინა ამ სქემას ადგენდა, ნიკანორ მელია ადგა თურმე თავზე.

სხვათა შორის, სამწუხარო ის არის, რომ ასინეთურ მოძრაობაში ბევრი ისეთი გაება, რომელსაც პრეტენზია აქვს ერისკაცობასა და მამულიშვილობაზე, რომელიც ადრე ივანიშვილის თანამებრძოლობაზე დებდა თავს. მაგალითად, ამ დღეებში ჩემმა ერთმა მეგობარმა „ფეისბუქში“ სტატუსი გამოაცხო – აი, ხომ გეუბნებოდით, რომ ვალების განულება ტყუილი იქნებოდაო? აგერ, ბანკებს მიუწერიათ დავალიანების მქონე კლიენტებისთვის, არაფერი არ გაგინულდათ, ვალები ჩვეულებრივად უნდა დაფაროთო. ამან ცამოწმენდილზე დაწერა, დილით მჭმუნვარე ხასიათზე გაიღვიძა და დაწერა. მართალია, ბანკებს მსგავსი არაფერი მიუწერიათ თავიანთი ყოფილი კლიენტებისთვის, მაგრამ ეჭვი ხომ შემოაგდო? ეჭვი კიდე, როგორც ბებიაჩემი იტყოდა, ისეთი ჭიაა, რომელსაც ვერასოდეს მოიშორებ.

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, დიდი ამბებია კოკინაშვილებში და ასევე დიდი ამბებია ჩვენს სოფლებშიც. კახეთში ღვინის მარნები შარშან ბიძინამ მეშვიდედ იყიდა, წელს მერვედ იყიდის. აიწყო ცხოვრება ოლიგარქმა, აგერ „ტეხასმოტრების“ ფულს ყოველწლიურად ჩაიდებს ჯიბეში. თითო განულებულზე 10 ლარი მოტეხა, მეტი რაღა უნდა? ბოლო-ბოლო, მაგისია ეს ქვეყანა, რასაც უნდა, იმას მოიფიქრებს. ჩვენს მუშურ-გლეხურ პროლეტარიატს კი ისღა დარჩენია, ყველაფერი ბრმად დაიჯეროს.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ახალი რევოლუციების გარიჟრაჟი

მიუნხენის უსაფრთხოებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია წლეულს უკვე 55-ედ გაიმართა. ღონისძიებას სათავე ე.წ. „კარიბის კრიზისის“ დასრულების შემდეგ ჩაეყარა. კონფერენციაზე, ტრადიციულად, სავალდებულო გადაწყვეტილებებს არ იღებენ, არც ხელშეკრულებები ფორმდება ქვეყნებს შორის. მიუხდავად ამისა, მიუნხენში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის პირველი პირები თუ მაღალჩინოსნები იკრიბებიან, რადგან ამ ღონისძიებაზე ხდება პოზიციების შეჯერება უსაფრთხოების საკითხებში. ასევე კარგი ბარომეტრია პოლიტოლოგებისთვის მოსალოდნელი საფრთხეების განსასაზღვრად.

წლევანდელი კონფერენცია მსოფლიოში არსებული არანხული პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე გაიხსნა. რთული ვითარებებია არამარტო ცალკეულ ქვეყნებს შორის, არამედ დაძაბულია შიდა პოლიტიკური სიტუაცია ისეთ ქვეყნებში, რომლებიც დღემდე, ფაქტობრივად, დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ეტალონებად ითვლებოდნენ. მიუნხენში ყველაზე მრავალრიცხოვანი ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია გახლდათ, რომლის შემადგენლობაში 300 წევრი იყო. მათ შორის, 50-ზე მეტი კონგრესმენი და სენატორი. დელეგაციას ვიცე-პრეზიდენტი მაიკლ პენსი ხელმძღვანელობდა. მართალია, პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გერმანიაში არ ჩავიდა, მაგრამ დელეგაციის ერთ-ერთი წევრი მისი შვილი და მრჩეველი ივანკა ტრამპი იყო. საერთოდაც, დონალდ ტრამპს მრავალრიცხოვანი შეკრებები გულზე დიდად არ ეხატება, იგი უპირატესობას პირისპირ მოლაპარაკებებს ანიჭებს.

დონალდ ტრამპის გარდა გერმანიაში არ ჩავიდა ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ, რუსეთის, თურქეთის, საფრანგეთის პრეზიდენტები, ბრიტანეთის პრემიერი ტერეზა მეი. მიუინხენის წლევანდელ კონფერენციაზე რომელიმე კონკრეტული საკითხი არ განუხილავთ. მაიკლ პენსმა თავის გამოსვლაში საზოგადოებას მოუწოდა ირანისთვის სანქციების გამკაცრებისკენ, ასევე მხარი დაუჭირონ და აღიარონ ვენესელის პრეზიდენტად ხუან გუაიდო. ამასთან, გერმანელები მკაცრად გააკრიტიკა გაზსადენ „ჩრდილოეთ ნაკადი-2“-ის მშენებლობის გამო. პენსის განცხადებითY, აშშ ისეთი ძლიერია, როგორც არასდროს. მან არ გამორიცხა ჩინეთისთვის საბაჟო გადასახადების გაზრდა. გაამართლა მცირე და საშუალო რადიუსის მოქმედების რაკეტების განადგურების ხელშეკრულებიდან გასვლა. მისი თქმით, ემზადებიან ახალი ხელშეკრულების გასაფორმებლად, სადაც ჩინეთიც ჩაერთვება. თუმცა ჩინეთის დელეგაციის წარმომადგენლებმა შორს დაიჭირეს, უარი ღიად განაცხადეს, ჩვენ არ ვაპირებთ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმებას აშშ-სთანო.

მასპინძელი, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი არ დაეთანხმა მაიკლ პენსს. მისი განცხადებით, ირანთან 2015 წელს გაფორმებული ბირთვული ხელშეკრულება საშუალება იყო, თავიდან აეცილებინათ რეგიონში საომარი რიტორიკა. სანქციებით დაიკარგება ირანზე გავლენა, ამიტომ აუცილებელია თუნდაც მყიფე ბერკეტის შენარჩუნება. გაზსადენთან დაკავშირებით კი კვლავ დაადასტურა, რომ მშენებლობა გაგრძელდება. ანგელა მერკელის განცხადებით, მის ქვეყანას ბევრი ბუნებრივი გაზი სჭირდება, ამიტომ აშშ-სგან ფიქალის გაზსაც უპრობლემოდ შეიძენენ. პოლიტოლოგების განცხადებით, ფრაუ მერკელი დაკარგულ პოზიციებს იბრუნებს როგორც საერთაშორისო არენაზე, ასევე ქვეყნის შიგნითაც.

აშშ-ის მიერ ირანისთვის დაწესებული სანქციებით უკმაყოფილო არიან გერმანელი ბიზნესმენებიც, რასაც არც მალავენ. გერმანელი პოლიტოლოგის ალექსანდრ რარის შეფასებით, „... არა მხოლოდ ტრამპი, არამედ აშშ-ის პოლიტელიტა ევროპას თავის პოლიტიკურ პოლიგონად მიიჩნევს, მბრძანებლობს. ამიტომ მიაჩნიათ გერმანელებს აშშ ქვეყნის საფრთხედ“.

უკვე მეოთხედ გაიმართა „ასტანის სამეულად“ წოდებული ქვეყნების — ირანის, თურქეთისა და რუსეთის პრეზიდენტების შეკრება, რომლებიც სირიის პრობლემის მოგვარების საკითხს განიხილავენ, ამჯერად სოჭში. პოლონეთის კონფერენციის ნაცვლად სწორედ იქ ჩავიდა ერდოღანი. სამივე ქვეყნის პრეზიდენტებმა: ჰასან როუჰანიმ, ვლადიმირ პუტინმა და რეჯიფ თაიფ ერდოღანმა დაადასტურეს, რომ სირიაში ტერორიზმთან ბრძოლა დაჯგუფებების სრულ განადგურებამდე გაგრძელდება. მათი განცხადებით, სირიის მომავალი თავად მოსახლეობამ უნდა განსაზღვროს. პრეზიდენტებმა კვლავ გაიმაორეს, რომ დევნილთა დასაბრუნებლად ქვეყანაში ღირსეული ცხოვრების პიროპების შექმნაა აუცილებელი.

გასული კვირის კიდევ ერთ-ერთი მთავარი მოვლენა აშშ-ის ბიუჯეტის დამტკიცება გახლდათ, რომელსაც დონალდ ტრამპმა მოაწერა ხელი. ექსპერტების შეფასებით, შათდაუნში ტრამპი დამარცხდა. კონგრესმა არც ამჯერად გაითვალისწინა ტრამპის მოთხოვნა, დაეფინანსებინათ მექსიკის საზღვარზე კედლის მშენებლობა. ნაცვლად 8 მილიარდისა, კონგრესმა მხოლოდ 1,7 მილიარდი დოლარი გამოყო. მიუხედავად ამისა, ტრამპმა ბიუჯეტი დაამტკიცა, მაგრამ გამოიყენა კანონით მინიჭებული უფლება და ქვეყნის სამხრეთში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ამით უკვე უპრობლემოდ შეუძლია ტრამპს, მიიღოს საჭირო 8 მილიარდი უკვე კონგრესის გვერდის ავლით. დემოკრატები ტრამპის გადაწყვეტილებას უკანონოდ მიიჩნევენ,. თუმცა ვერაფერს ცვლიან, ექსპერტების განცხადებით, ტრამპმა კონგრესზე შური იძია, რევანში აიღო. თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ დონალდ ტრამპისა და კონგრესის დაპირისპირება ახალ მწვავე ფაზაში გადავიდა.

ევროკავშირში არსებულ არაჯანსაღ სიტუაციაზე „ფერადი რევოლუციების“ ერთ-ერთი შემოქმედი მილიარდერი ჯორჯ სოროსიც ალაპარაკდა: „...თუ ევროკავშირი არ გაიღვიძებს, არ გამოფხიზლდება, საბჭოთა კავშირის მსგავსად დაიშლება“, — განაცხადა მან. მისივე თქმით, სამყარო ახლა რევოლუციურ პერიოდში ცხოვრობს. რატომ აანონსებს მილიარდერი ასეთ პესიმისტურ პროგნოზს, ზუსტად ძნელი სათქმელია. სავარაუდოდ, ევროკავშირის წამყვან ქვეყნებში არაჯანსაღი პოლიტიკური ვითარება იგულისხმა.

ორი თვის შემდეგ დიდი ბრიტანეთი დატოვებს ევროკავშირს, სადაც ბირთვული იარაღის მქონე მხოლოდ ერთი ქვეყანა, საფრანგეთი დარჩება. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, საფრანგეთი არ აპირებს, შეიფაროს რომელიმე ქვეყანა საკუთარი „ბირთვული ქოლგის“ ქვეშ.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელსა და ემანუელ მაკრონს შორის განხეთქილების ვაშლად „ჩრდილოეთი ნაკადი-2“-ის მშენებლობა გახდა, რომლის წინააღმდეგაც გაილაშქრა მაკრონმა. თუმცა, მიუნხენის კონფერენციის მსვლელობისას იგი რუსეთის პრეზიდენტს ტელეფონით დაუკავშირდა. რაზე ისაუბრეს პრეზიდენტებმა, პრესსამსახურებს არ დაუკონკრეტებიათ, მხოლოდ საუბრის ფაქტი დაადასტურეს. რატომ გაუჩნდა მაკრონს პუტინთან გაბაასების სურვილი, დღემდე გამოცანად რჩება.

ვენესუელაში კრიზისი ახალ ფაზაში გადადის. გუაიდომ დააანონსა, რომ 23 თებერვალს ელოდებიან ჰუმანიტარულ ტვირთს, რომელსაც საზღვარზე დახვდებიან. მან მოუწოდა სამხედროებს, გაატარონ ტვირთი. ამასთან, 23 თებერვლამდე გადავიდნენ მის მხარეს. „...ერთი კვირა გაქვთ ვადა, რათა დადგეთ სიმართლის მხარეს და არა კონსტიტუციის დასაცავად“, — მიმართა ჯარს გუაიდომ. რა იგულისხმა მიმართვაში, ძნელი სათქმელია. მოქმედმა პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ მისი მოწოდება იაფფასიან ტრიუკად შეაფასა. რითი დასრულდება ძალაუფლებისთვის ჭიდილი ვენესუელაში, კვირის ბოლოს გამოჩნდება.

ამასობაში კი უცხოურ პრესაში გაჟონა ინფორმაციამ, რომ ირანშიც იგეგმება ვენესუელის მსგავსი გადატრიალება და კანდიდატიც შერჩეულია. ძნელია, არ დაეთანხმო სოროსს, მართლაც ახალი რევოლუციების პირობებში ვცხოვრობთ.

გია ბურდული
551 71 27 07

ოკეანის დათბობა

ტემპერატურის მატება ანადგურებს ზღვის ეკოსისტემას და ქარიშხლებსაც უფრო დამანგრეველს ხდის



მელორ სტურუა:

მსოფლიო ოკეანეები უფრო მეტად და უფრო სწრაფად თბება, ვიდრე ვარაუდობდნენ. ამ თემაზე ახალი ანალიტიკური მასალა გამოქვეყნდა ჟურნალში Science. გამოცემის მონაცემებით, ოკეანეები ცამეტი პროცენტით უფრო სწრაფად თბება, ვიდრე ამას მეცნიერები წინასწარმეტყველებდნენ. აღსანიშნავია, რომ ტერმინი „გლობალური დათბობა“ პირველად სწორედ ამ ჟურნალში გაჩნდა 1975 წელს. ის მოიფიქრა და დანერგა ამერიკელმა გეოლოგმა და კლიმატოლოგმა უოლეს ბროეკერმა. მან ორმოცზე მეტი წლის გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „კლიმატის ცვლილება — ვართ თუ არა მკვეთრი გლობალური დათბობის ზღვართან?“ — რომელიც კლიმატზე ადამიანის ზემოქმედების შესაძლო შედეგებს მიუძღვნა. თანამედროვე მკვლევართა დასკვნების თანახმად კი, ოკეანეების ტემპერატურა უკვე შემაშფოთებელ რეკორდებს აღწევს.

„ოკანეების ისტორიაში 2018 ყველაზე თბილი წელი იყო, და ეს მაშინ, როცა ტემპერატურის რეკორდი 2017 წელს დამყარდა. სიღრმისეული კვლევების შედეგები უარყოფს მტკიცებას, თითქოს გლობალური დათბობა შენელდა ან „შესვენების პერიოდი“ დაუდგა. სინამდვილეში, მეცნიერებს დათვლა-გაანგარიშების დროს არქტიკაში დათბობის ფაქტორი არ გაუთვალისწინებიათ. გნებავთ გლობალური დათბობის მტკიცებულებები? შეხედეთ ჩვენს ოკეანეებს. ოკეანის წყლის ტემპერატურის მატება კლიმატის ცვლილების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. და ჩვენ ხელთ გვაქვს სარწმუნო არგუმენტები იმისა, რომ ოკეანე უფრო სწრაფად თბება, ვიდრე გვეგონა“ (ზიკ ჰაუსფაზერი, ენერგეტიკული სისტემების ანალიტიკოსი. დამოუკიდებელი კვლევითი კომპანია Berkeley Earth, აშშ).

პლანეტაზე ტემპერატურის მატებისას ოკეანე ერთგვარ კრიტიკულ და მნიშვნელოვან ბუფერულ როლს ასრულებს. იგი ანელებს კლიმატის ცვლილების ეფექტებს, მზის მცხუნვარების 93 პროცენტს „ყლაპავს“. ასე რომ არ იყოს, ჩვენი ცოდვილი დედამიწის ზედაპირი კიდევ უფრო და ძლიერ გახურდებოდა, ფაქტობრივად, ოკეანე აქტიური დათბობით გამოწვეული ზემოქმედებისგან გვიცავს (მელინ პენსკი, რატგერსის უნივერსიტეტის ეკოლოგიის, ევოლუციისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის პროფესორი).

მეცნიერთა დასკვნებით, მაშინ, როცა ოკეანე განაგრძობს გათბობას, ამ ეფექტის შედეგები სულ უფრო კატასტროფული ხდება. მზარდი ტემპერატურა ნელ-ნელა ანადგურებს ზღვის ეკოსისტემას, ზრდის მსოფლიო ოკეანის დონეს, უფრო დამანგრეველს ხდის ქარიშხლებს, რომლებიც გახშირდა და რომლებსაც თან სდევს წყალდიდობები. ბოლო სამი წლის განმავლობაში, მზარდი სტრესული პირობების გამო, არსებული მარჯნის მეხუთედი დაიღუპა. მარჯნის რიფები ზღვის ცოცხალი არსებების ბუნებრივი გარემოა და მარჯნებთან ერთად ისინიც იღუპებიან. „ეს კი ტროპიკებში მცხოვრები მილიონობით ადამიანისთვის უმთავრესი საკვებია. სწორედ ისინი ზარალდებიან ყველაზე მეტად. გამთბარი ოკეანეების რეალური შესაძლებლობა, წარმოქმნას საკვები, მნიშვნელოვნად შემცირდა და ეს უკვე აისახა მსოფლიოს სურსათის მარაგზე“ (ამერიკული ორგანიზაციის — „ოკეანის“ კონსერვაციის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი კერინ მეტიუსი).

რადგანაც გლობალურ დათბობაში უდიდეს როლს თამაშობს ოკეანე, ბუნებრივია, რომ მეცნიერ-კლიმატოლოგები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მას. ოკეანის საშუალო ტემპერატურაზე გავლენას არ ახდენს ისეთი ხანმოკლე მოვლენები, როგორიცაა ვულკანების ამოფრქვევა ან სხვა დროებითი კატაკლიზმები.

ოკეანე ჩვენს ხელთ არსებული საუკეთესო თერმომეტრებია დედამიწის ტემპერატურის გასაზომად, — ამტკიცებენ მეცნიერები. ამ უზარმაზარი მოცულობის წყლის ტემპერატურის გაზომვა ყოველთვის საკმაოდ რთული იყო. გაეროს 2014 წლის მოხსენებაშიც კი ოკეანის დათბობის ხუთი სხვადასხვა ვარიანტი იყო მოცემული.

2005 წლიდან მეცნიერები მსოფლიო ოკეანეზე დაკვირვებისთვის იყენებენ სისტემა „არგოს“, რომელსაც ბერძნული მითოლოგიის გმირის, იაზონის სახელგანთქმული ნავის სახელი დაარქვეს. იგი მოიცავს მსოფლიო ოკეანის სხვადასხვა ადგილას მოდრეიფე ოთხი ათას ავტომატურ მოტივტივე მოწყობილობას, რომლებითაც გროვდება ინფორმაციას არა მარტო წყლის ტემპერატურის, არამედ მჟავიანობის, მარილის შედგენილობის შესახებ. ისინი ისეა დაპროგრამებული, რომ შესაძლებელია მათი ჩაშვება სიღრმეში რეგულარულად, ხოლო ზედაპირზე ამოსვლისთანავე სხვადასხვა სიღრმეში გაზომილი არაერთი მონაცემის გადაცემა. ეს არის ბევრად უფრო ზუსტი ინსტრუმენტი დასაკვირვებლად და პარამეტრების დასადგენად, ვიდრე ადრე გამოყენებული ბათითერმომეტრები — მათ უპირატესად ჩრდილოეთ ნახევარსფეროში იყენებდნენ, ახლა კი, ამ მხრივ, სამხრეთ ნახევარსფეროც ათვისებულია.

წყლის ზედაპირის სიახლოვეს ოკეანის წყლის ტემპერატურა სულ უფრო და უფრო თბება და ბოლო ორ ათეულ წელიწადში ამ პროცესის სიჩქარე გაორმაგდა. ასეთია მონაცემები, რომლებსაც ჩინეთის მეცნიერებათაAაკადემიის ატმოსფერული ფიზიკის ინსტიტუტი აქვეყნებს.

მეცნიერებმა სცადეს შეექმნათ მიმდინარე პროცესის მოდელი და დაასკვნეს: აუცილებელია გადაუდებელი ღონისძიებები სამრეწველო აირების შესამცირებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ საუკუნის ბოლოს ოკეანის წყლის ზედა ფენების ტემპერატურა 0,78 გრადუსით მოიმატებს. ეს იმას ნიშნავს, რომ, მხოლოდ თბური გაფართოების შედეგად, მსოფლიო ოკეანის დონე დამატებით 30 სანტიმეტრით აიწევს. თუმცა ეს წვრილმანია იმასთან შედარებით, რასაც ყინულის დნობის გამო წყლის მოცულობის გაზრდა გამოიწვევს — წყლის დონე რამდენიმე ათეული მეტრით მოიმატებს და ხმელეთის მნიშვნელოვანი ნაწილი წყალში აღმოჩნდება. ოკეანეთის წყლების შესახებ გამოქვეყნებული კვლევის ავტორები ამჟერად არც ცდილობენ ოკეანის წყლის დათბობისა და მისი შედეგების მოდელირებას.

ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა დოქტორმა ზენამ შეადარა რამდენიმე ათეული წლის მონაცემები და დაასკვნა, რომ ოკენის წყლის დონის ზრდამ შეიძლება დაასწროს ნებისმიერ წინასწარმეტყველებას. „ჩვენ ვაფრთხილებთ პლანეტას, რომ ოკეანეების დათბობა არათანაბარი პროცესია და ზოგიერთ ადგილას ის ბევრად უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე სხვაგან. ასე რომ, დათბობის ხარისხის მიუხედავად, სხვადასხვა ადგილას ოკეანის დონის მატებაც შესაძლოა განსხვავებული იყოს“.

დოქტორ პინსკის თქმით, ოკეანის დათბობა ბუნებრივად იწვევს კიდევ ერთ პროცესს — მასში მცხოვრები არსებები თავის გადასარჩენად ახალი ადგილების ძებნას იწყებენ. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ეს მოვლენა ხელს უწყობს სახელმწიფოებს შორის დაძაბულობის ზრდას, იწვევს სავაჭრო ომებს და დიპლომატიურ კონფლიქტებს.

ახალი გამოკვლევები მეცნიერებს აძლევს საფუძველს, გამოთქვან საკმაოდ სამწუხარო ვარაუდები ოკეანეების მომავალზე. მართალია, ოკეანეებისა და მთლიანად პლანეტის დათბობა მეტად არასასურველი პროცესია, მაგრამ მაინც არ უნდა გადავიწუროთ იმედი, რომ დედამიწა ყველაზე ცუდ ვარიანტს გადაურჩება.

შეიძლება თუ არა რობოტებმა განუვითარონ ადამიანები, თვითონ დაეუფლონ ძალაუფლებას და სამყაროს ბატონ-პატრონები გახდნენ?



თავის ბოლო მნიშვნელოვან წიგნში „ადამიანის წარმოშობა“ დარვინმა ევოლუციის თეორია „მიუძღვნა“ ადამიანს და ადამიანთა რასებს. მას არ სწამდა რომ ადამიანი შექმნა ღმერთმა და არ სჯეროდა კაცობრიობის ერთიანობისა. დარვინი ამბობდა, რომ დროთა განმავლობაში ადამიანთა ცივილიზებული რასები ველურ რასებს გაანადგურებდნენ და მათ ადგილს დაიკავებენ მთელ მსოფლიოში... ჩვენი თანამედროვე (42 წლის) იერუსალიმის უნივერსიტეტის პროფესორი **იუვალ ნოა ჰარარი** ამტკიცებს, რომ ახალი ტექნოლოგიების საშუალებით ადამიანი მიაღწევს ევოლუციის ახალ სტადიას. მაშინ თითქმის ღვთაებრივი ძალის და შესაძლებლობების მქონე „**ჰომო დეუსი**“ (ადამიანის ღმერთი), განდევნის „ჰომოსაპიენს“ ანუ ჩვენნაირ უბადრუკებს. ჰარარის მეცნიერული ნაშრომი „**კაცობრიობის მოკლე ისტორია**“ ოთხი წლის წინ ოცდაათ ენაზე გამოიცა. წიგნი

პლანეტარული ბესტსელერი გახდა და რასაკვირველია სახელი გაუთქვა ავტორს. შარშან გამოცემულ მეცნიერულ ნაშრომში „ადამიანი-ღმერთი-მომავლის ისტორია“ ჰარარი XXI საუკუნის უფრო აბებედით სახეს ხატავს. ოცნებები საზოგადოების. გაუმჯობესებაზე, რომელთა განხორციელებაზეც მუშაობს „სილიკონ ველი“ დამთავრდება ზეადამიანის შექმნით და ჰომოსაპიენსის სავარაუდო გაქრობით. აღნიშნულ კვლევასთან დაკავშირებით მის ერთ-ერთ ინტერვიუს გთავაზობთ.

— თქვენს წიგნში(კვლევაში) აცხადებთ რომ XXI საუკუნეში ადამიანმა შეიძლება დაისახოს ახალი მიზნები იმიტომ რომ მან ბოლო მოუღო თავის სამ დიდ მტერს: ომს, ავადმყოფობას და შიმშილს. მაგრამ რა ვთქვათ სირიაზე, იემენზე თუ სამხრეთ სუდანზე? მალარიაზე და კიბოზე? იმაზე რომ კაცობრიობის დიდ ნაწილს ისევ შია?

– მე, უბრალოდ ვთქვი რომ 300. 3000 თუ 30 000 წლის წინ ვერავინ იფიქრებდა, რომ წელი შეიძლებოდა გასულიყო ომის, ეპიდემიის თუ შიმშილის გარეშე. დღეს კი აშკარაა კაცობრიობის. უდიდესი ნაწილისთვის. რომ ისტორიაში პირველად ადამიანებს უფრო კლავს გაუმაძღრობა-ღორმუცელობა ვიდრე შიმშილი. 2010 წელს სამი მილიონი კაცი მოკლა სიმსუქნემ. შიმშილმა, ომებმა, ძალადობამ და ტერორიზმმა ნაკლები მოკლეს...თანამედროვე. ამერიკელისთვის და ევროპელისთვის ალ ქაიდაზე უფრო დიდი საფრთხეა კოკა-კოლა.

— თქვენ წერთ რომ ტერორიზმი გავს. ფაიფურის მაღაზიაში მოხვედრილ ბუზს.

– ბუზს არ შეუძლია. ფაიფურის მაღაზიის დალეწვა და რას აკეთებს ის? ის მონახავს სპილოს, შეუძვრება ყურში მას, გაამხეცებს საწყალ პირუტყვს და ის დალეწავს ყველაფერს. ამას განვიცდით ოცი წელია: ალ კაიდას არ შეეძლო ერაყის დესტაბილიზაცია დამოუკიდებლად, მარტო. მან გაამხეცა ამერიკელები რომლებმაც დაანგრიეს ერაყი და ერაყის ნანგრევებზე გაჩნდა ახალი ტერორისტული ჯგუფები.

— უდგება თუ არა. თქვენი მეტაფორა ევროპასაც?

— ევროპულმა პროექტმა 1945 წლიდან ხანგრძლივი მშვიდობა მოიტანა კონტინენტზე რომელმაც საუკუნეების მანძილზე იცოდა მარტო საშინელი ომები, მაგრამ დღეს ხუთასი მილიონი ევროპელი დიდი ეჭვით უყურებს ამ ევროკავშირს. რატომ? იმიტომ რომ რამოდენიმე ტერორისტმა მოკლა რამოდენიმე ასეული ინდივიდი. ესაა ბუზი ყურში და ბევრად უფრო საშიში სპილოები ამოძრავდნენ ევროპულ დემოკრატიებში.

პოლიტიკა ვეღარ სთავაზობს საზოგადოებას აზრიან ხედვას და უცბად ადამიანები ირჩევენ ტრამპის ნაირ ტიპს რომელიც წიხლს ურტყავს სისტემას.

— ვილაპარაკოთ ადამიანღმერთზე, კაც-ღმერთზე, როდის გაჩნდება ის?

– რამოდენიმე ათწლეულში და არა საუკუნეებში. ლაპარაკია ადამიანზე რომელსაც აქვს უნარები რომლებიც ადრე ითვლებოდა ღმერთების უნარებად. ჩვენ უკვე გვაქვს ამ უნართა მნიშვნელოვანი ნაწილი. დღევანდელი ადამიანი ღმერთი ეგონებოდათ მის წინაპრებს. ძველად ადამიანები მათი ღმერთებისგან ელოდნენ მათი პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტას. ავადმყოფი ლოცვით მიმართავდა ღმერთს. საკმარისად არ წვიმდა და ლოცვით მიმართავდნენ ღმერთს. დღეს მეცნიერება და ტექნიკური პროგრესი ნაკლებად სანდო ღმერთებზე უკეთესად წყვეტენ პრობლემებს. — შემოქმედი ღმერთის მთავარი უნარია სიცოცხლის შექმნა. – სწორედ ამაზე. მუშაობენ. მე, მჯერა რომ XXI საუკუნეში ეკონომიკის მთავარი პროდუქტები იქნება სხეულები, ტვინი და ცნობიერება, სხვა სიტყვებით ხელოვნური სიცოცხლე და არა მატერიალური ნაკეთობები. ადამიანი ღმერთი. უმაღლეს საფუხერზე შეიძლება ავიდეს სამნირად: ბიო-ინჟინერია, კიბორგები და ან ორგანული სიცოცხლე. თუ ეს გამოვა ჩვენ ვიქნებით ღმერთები. — პირველი გზა? ბიოტექნოლოგია. შემოიფარგლება. ორგანული ცხოვრებით. ბუნებრივი. გადარჩევა 4 მილიარდი წელია. რაც აკოწიწებს ცოცხალ არსებებს და არ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ რომ „ჰომოსაპიენსი“ არის. სიცოცხლის უმაღლესი ფორმა. მაგრამ ბიო-ინჟინრები რომლებიც მუშაობენ გენეტიკურ კოდებზე. ვერ მოითმენენ ამდენ ხანს. თანამედროვე ადამიანი. აგებს კოსმიურ ხომალდებს და აკეთებს კომპიუტერებს მაშინ როდესაც მისი წინაპრები 200 000 წლის წინ ძლივს ჩირკნიდნენ ქვის ცულებს. თუ კი ვიცით ასეთი ცვლილებების მოხდენა რა გრანდიოზულ უნარებს მივიღებთ და რა საშინელებებს ჩავიდენთ?

— მეორე გზა უფრო. რადიკალურია. ის ახდენს, ორგანული ცხოვრების კომბინირებას ანორგანულ აპარატებთან: ბიონიკური თვალები, ყურები, კიდურები. უკვე დღეს პარალიჩის გადამტან, დამბლადაცემულ პაციენტებს შეუძლიათ ბიონიკური კიდურების ამოძრავება უბრალოდ გაფიქრებით. ინტერნეტით შეიძლება. რამოდენიმე ასეულ დოლარად ვიყიდოთ კასკა, ჩაფხუტი რომელიც კითხულობს ტვინის ელექტრულ სიგნალებს და რომლის მეშვეობით გაფიქრებითაც შეიძლება სინათლის ანთება.

— მესამე?

– მესამე გზაა ორგანულის უარყოფა და მთლიანად ანორგანული ცოცხალი არსებების გაკეთება. გონიერი პროგრამული უზრუნველყოფა ცვლის ნეირონულ ქსელებს. სპეციალისტები ამბობენ რომ შეიძლება ადამიანის ცნობიერების გადატვირთვა კომპიუტერში, ტვინის ასლის გაკეთება. მე არ მჯერა, მაგრამ ცხადია რომ სიცოცხლემ შეიძლება მიიღოს ფორმები რომლებას ჩვენ ყველაზე გიჟურ სიზმრებშიც ვერ წარმოვიდგენთ იმიტომ რომ ყველაზე გიჟური სიზმრები მომდინარეობს ორგანული ქმიიდან. — ჰომოსაპიენსის ევოლუციის შემდეგი ეტაპის აღსანიშნად თქვენ იყენებთ ცნობილ ცნებას „ ზეადამიანი“ ოთხმოცი წლის წინ ნაცისტები იმედოვნებდნენ ზეადამიანის გამოყვანას შერჩევითი მოშენებით და ეთნიკური წმენდით. -დღევანდელ მეცნიერებას აქვს მონათესავე მიზანი, მაგრამ მისი საშუალებები ბევრად უფრო ეფექტურია, გენეტიკური ინჟინერია და ტვინის და კომპიუტერის შეუღლება-შეთანხმება. ასე მიღებულ ზეადამიანებს ექნებად ბევრად ძლიერი ფიზიკური და შემეცნებითი უნარები ვიდრე ჩვენ. ბევრად უკეთესი მეხსიერება, გაძლიერებული გონიერება, უფრო ძლიერი და უფრო გამძლე-ამტანი სხეული. ალბათ მივდივართ მომავლისკენ როდესაც კაცობრიობის პატარა ნაწილს ექნება ღვთაებრივი ტიპის უნარები, სხვები ჩამორჩებიან. XXI საუკუნეში შეიძლება გაჩნდეს უსარგებლოთა ახალი კლასი. ამ უსაარგებლოებს არ ექნებათ პოლიტიკური ხელისუფლება და მათ ვერც გაყიდიან. ჩემის აზრით ესაა უიდესი საფრთხე ახლო მომავლისთვის.

— ვილაპარაკოთ თქვენი წიგნის ყველაზე შავ ნაწილზე.

— ეს არაა მეცნიერული ფანტასტიკა, ეს. დიდი ხანია რაც დაიწყო. სამხედრო სფეროში ტექნიკური ევოლუცია ხშირად წლობით უსწრებს წინ სამოქალაქო ეკონომიკას. XX საუკუნეში ჯარები დამოკიდებულები იყვნენ მასობრივად გაწვეულ ჯარისკაცებზე. ეხლა. კი ადამიანთა უზომო უმრავლესობა აღარაა სასარგებლო სამხედრო თვალსაზრისი.

– ეხლა ყველაზე მოწინავე ჯარები ეყრდნობიან მცირერიცხოვან სუპერ-მეომრებს, განსაკუთრებული აღჭურვილობის მქონე ამერიკული სპეციალური ნაწილების მსგავს ერთეულებს. გენერლებს ურჩევნიათ დრონები და კიბერ ომი და არა საზარბაზნე ხორცი.

— ეს მისასალმებელია.

– მაგრამ რა უნდა ითქვას თუ კი 20–30 წელში იგივე მოხდება სამოქალაქო ეკონომიკაში? რობოტებმა. შეიძლებმა შეცვალონ ადამიანები როგორც წაროებაში ისე სერვისებში. ვის რაში დასჭირდება ცოცხალი მძღოლები თუ კი ავტონომიური მანქანები უფრო იაფად და უკეთესად გააკეთებენ მათ საქმეს?

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

(დასასრული იქნება)

მართვის მოწმობები უკვე მეოთხედ იცვლება

მარტის მოახლოვებამა გარკვეული კატეგორიის მძღოლებს თავსატეხი გაუჩინა – 1 მარტიდან ძალას კარგავს 2014 წლის 1 მარტამდე გაცემული მართვის მოწმობები. შეცვლას ექვემდებარება C, CE, D, DE, C1, C1E, D1 და D1E კატეგორიის მართვის მოწმობები, რომლებიც სატვირთოების, მიკროავტობუსების და ავტობუსების მართვის უფლებას იძლევა. შესაბამისად, ახალი მართვის მოწმობის მისაღებად მძღოლებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოებთან ღამეების თენება უწევთ.„ რა ჯანდაბა ხდება, პრავის ასაღდგენად მივედი და მითხრეს რომ დილის 7 საათზე უნდა მივიდე და ჩავეწერო. მივედი დილის 7-ის ნახევარზე და მითხრეს, რომ უკვე 200 ჩაწერილია და მეტს ვერ ჩაწერდნენ, გაგვიშვეს უკან. ვიკითხე და 12 საათის მერე დგანან რიგში, უკაცრავად და ეს როგორ გავიგო? თურმე, 3 დღეა აქ დგას ხალხი და რიგი არ მოგვწევიაო. ეხლა გეკითხებით მე აქ ღამეები უნდა ვათენო იმიტომ, რომ პრავა დავკარგე და აღვადგინო? + სამსახური ვისაც გვაქვს, დავიკიდოთ? ეს რა ჯანდაბა ხდება, როგორ ვერ მოახერხეთ ამის კონტროლი?“ – წერს სოციალურ ქსელში შექმნილი ვითარებით უკმაყოფილო მძღოლი.

რას ემსახურება მართვის მოწმობების გახშირებული ცვლა, ვინ და როგორ უნდა აკონტროლოს ეს პროცესები და რატომ უნდა აიღოს შსს-მ საკუთარ თავზე მძღოლების მომზადება ამაზე მძღოლთა ასოციაციის თავმჯდომარე ნიკოლოზ კაჭკაჭური გვესაუბრა:

– როგორც იცით, 2014 წლის პირველ მარტამდე გაცემულ გარკვეული კატეგორიის მართვის მოწმობებს ვადა გასდის და თუ 2019 წლის პირველ მარტამდე არ შეიცვალა, დოკუმენტი ძალადაკარგულად ჩაითვლება. არ ვიცი, რას ერჩიან ამ მძღოლებს, მაგრამ „ქართული ოცნების“ პირობებში ეს მართვის მოწმობების უკვე მე-4 შეცვლაა და თვითონაც ვერ აკონკრეტებენ, რატომ ცვლიან. ყველა მძღოლი მობილიზებულია, რომ 1 მარტამდე მოწმობის შეცვლა მოასწროს, მაგრამ მსურველი ძალიან ბევრია და უზარმაზარი რიგები დგას. ხალხს მიტოვებული აქვს ოჯახები, სამსახურები და დილიდან შუაღამემდე და ზოგჯერ მეორე დილამდე რიგში დგანან. მაგალითად, რუსთავში საპატრულო პოლიციასთან დილაუთენია იმხელა რიგი იდგა, შენობა არ ჩანდა. თბილისში, ქავთარაძის ქუჩაზე საპატრულო დეპარტამენტის შენობასთან დილის 5 საათზე მივედი და სიაში უკვე 50-ზე მეტი ადამიანი იყო ჩაწერილი, დილის 9 საათზე კი 500 კაცს გადაცდა. 12 საათის მერე სიაში ჩაწერას აზრი არა აქვს, იმიტომ, რომ საპატრულო პოლიცია ფიზიკურად ვერ მოასწრებს ამდენი მოწმობის გაცემას. ასე როგორ შეიძლება ადამიანების წვალება? ალბათ, ფინანსების ამოსაქაჩად აკეთებენ, სხვა ახსნას ვერ ვუძებნი ამ განუკითხაობას.

– **მართვის მოწმობის შეცვლის ღირებულება 15 ლარია, დაკარგულის აღდგენის შემთხვევაში კი – 35 ლარი. ამას გულისხმობთ?**

– ამის გარდა, აუცილებელია ჯანმრთელობის მდგომარეობის ცნობა – ე.წ. ფსიქო და ყველაფერი ერთად დაახლოებით, 40 ლარი ჯდება. ჩემი აზრით, მოწმობის შეცვლა მილიონამდე ადამიანს მოუწევს, ეს კი დაახლოებით 40 მილიონია, რომელიც ბიუჯეტში შევა. ფინანსური ინტერესის გარდა, გაუგებარია, რას შეცვლის მართვის მოწმობის შეცვლა? უვიც მძღოლებს მანქანის უკეთ ტარებას ასწავლის? იმის ნაცვლად, რომ სახემწიფომ მართვის მოწმობების გაცემაზე კონტროლი დააწესოს, სრულიად გაუგებარი საქმიანობით არის დაკავებული.

– **კონტროლის დაწესებაში რას გულისხმობთ?**

– გაივსო ქვეყანა უვიცი მძღოლებით, რაც ავტოსაგზაო შემთხვევების სტატისტიკაშიც კარგად ჩანს, ამიტომ საპატრულო პოლიციაში უნდა შეიქმნას სპეციალური დეპარტამენტი, რომელიც მომავალ მძღოლებს ავტომობილის ნორმალურად ტარებას ასწავლის. დღეს ამას კერძო პირები აკეთებენ, რომლებმაც ზოგჯერ თვითონაც არ იციან ავტომობილის მართვა. ამ საქმეს აუცილებლად კვალიფიციური მასწავლებელი უნდა ასწავლიდეს, ამიტომ აუცილებლად უნდა იყოს ცნობილი, სად ისწავლა ადამიანმა მართვა და სად დაამთავრა კურსები. ეს ყოველივე სახელმწიფომ უნდა გააკონტროლოს ან საკუთარ თავზე აიღოს პასუხისმგებლობა. არსად მინახავს, არცერთ ავტოსკოლაში, რომ ადამიანებს ქალაქში ასწავლიდნენ მანქანის ტარებას. მხოლოდ სპეციალურად განსაზღრულ ადგილებში ატარებენ, რაღაცეების დაზეპირებას თხოვენ და მორჩა. როცა ასეთი მძღოლები ქალაქის ქუჩებში გადიან, არ იციან როგორ იმოქმედონ და ხან ავარიებს აკეთებენ და ხან საცობებს ქმნიან. მით უმეტეს, თუ ასეთი უვიცი მძღოლი ტელეფონზეც ლაპარაკობს, საერთოდ კატასტროფაა, ამიტომ უნდა გამკაცრდეს ავტომობილის მართვის დროს ტელეფონზე საუბრისთვის დაწესებული ჯარიმები. ყოველ მომდევნო შემთვევაზე ჯარიმის ოდენობა უნდა იზრდებოდეს და ბოლოს და ბოლო დაანებებს ადამიანი თავს. მაგრამ არის კიდევ სხვა საკითხი – ვინ უნდა დააჯარიმოს ეს ხალხი? მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა გააუქმა, სახელმწიფოს არ ჰყავს საგზაო პოლიცია. ათასჯერ ვთქვი, რომ საპატრულო პოლიციას ამ საქმისთვის არ სცალია, ამიტომ აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს საგზაო პოლიცია, რომელიც საგზაო წესებს მიხედავს და დაარეგულირებს.

ნელი თორდია
571 35 36 88

„საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მხატვარი

ირაკლი ამაშუკელი

დაკრძალვა ხუთშაბათს.
ქ. თბილისი, მცხეთის ქ.№4

„საერთო გაზეთის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს ბატონი რეზო ამაშუკელის ძმის

ირაკლი ამაშუკელის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
2 79 63 91;
0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

– **მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია. გვითხრეს, რომ შეიძლება მოხდეს საჯარო შეტყობინება. რას ნიშნავს საჯარო შეტყობინება?**

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

* * *

– **მაინტერესებს სანქცია ძლიერი სულიერი აღელვების დროს ჩადენილ მკვლელობისათვის.**

– მუხლი 111. განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში

1. განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოიწვია დამნაშავის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მსხვერპლის მართლსაწინააღმდეგო ძალადობამ, მძიმე შეურაცხყოფამ ან სხვა მძიმე ამორალურმა ქმედებამ, აგრეთვე მსხვერპლის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებულმა ფსიქიკურმა ტრავმამ, –

ისჯება შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ, –

ისჯება შინაპატიმრობით ვადით ერთიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

* * *

– **რა იგულისხმება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში?**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილისმიხედვით, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაა სხეულის ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის ანდა რომელმაც გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ფსიქიკური ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა, სახის წარუშლელი დამახინჯება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და დაკავშირებულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვასთან ან წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან.

„გულის ელექსირი“

2012 წელს საქართველოს აფთიაქებში უნიკალური ბუნებრივი პრეპარატი „გულის ელექსირი“ გამოჩნდა. დასაწყისში ის მხოლოდ „სახალხო აფთიაქში“ იყიდებოდა, ახლა მისი შეძენა უკვე შესაძლებელია „პსპ“, ავერსის“ „ფარმადეპოს“, „ფარმაცენტრისა“ და სხვა საააფთიაქო ქსელებში. და, როგორც ამბობენ, სხვა ჰომეოპათიურ პრეპარატებთან შედარებით, „გულის ელექსირმა“ მოთხოვნათა ყველა რეკორდს გადააჭარბა.

იმის გასარკვევად, თუ რატომ გახდა „გულის ელექსირი“ ასეთი პოპულარული, ჩვენ მივმართეთ იმ ადამიანებს, რომლებიც ამ ჰომეოპათიურ პრეპარატს მოიხმარენ.

დავით სოკოლოვი, ცნობილი ტელეწამყვანი: „თქვენთან საუბრამდე ცოტა ხნით ადრე დავლიე ეს შესანიშნავი წამალი. ვერც წარმოიდგენთ, როგორი ეფექტური და უნიკალური რამაა.

ამ წამლის შემქმნელს, ბატონ კახა საბახტარაშვილს დიდი ხანია ვიცნობ. მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი და „გულის ელექსირს“ რომ მთავაზობდა, ვამბობდი: არ მჭირდება, რატომ უნდა მივიღო-მეთქი, თურმე ვცდებოდი: „გულის ელექსირი“ პროფილაქტიკის მიზნითაც შესანიშნავია. ახლა 83 წლის ვარ და გული სადა მაქვს, არც ვიცი, არც წნევა მაწუხებს. ჩემს პირად მაგალითზე. შემიძლია თამამად ვურჩიო ყველას – „გულის ელექსირი“ – ეს არის უსაფრთხო, პროფილაქტიკური, გულის კუნთის გამაჯანსაღებელი უნიკალური საშუალება.

სანამ მეუღლე ცოცხალი მყავდა, მასაც ვასმევდი „გულის ელექსირს“. ექიმები გაკვირვებული იყვნენ მისი გულის შესანიშნავი მდგომარეობით. როგორც უკვე გითხარით, დღემდე ვსვამ ამ წამალს და ყველას ვურჩევ, მიიღოს ის“.

მამანტი როგავა, პროფესორი, საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი კარდიოლოგი: „ვფიქრობ, „გულის ელექსირს“ მოქმედების უფრო ფართო სპექტრი აქვს, ვიდრე მის ინსტრუქციაშია მითითებული“.

დიმიტრი ტვილდიანი, აშშ-ში მოღვაწე ცნობილი კარდიოლოგი, ნიუ-იორკის ერთ-ერთი წამყვანი დიაგნოსტიკური ცენტრის ხელმძღვანელი: „გულის ელექსირს“ თავისი მაღალეფექტურობის გამო აშშ-ში უკვე იმდენი კმაყოფილი მომხმარებელი ჰყავს, ვფიქრობ, საერთაშორისო, მსოფლიო სტანდარტის ყველა ნორმის დაცვით დამზადებული ეს უნიკალური საგულე წამალი, უმოკლეს დროში ბევრი ამერიკული ოჯახისთვის შეუცვლელი იქნება.“

შოთა ჩხეიძე, პროფესორი, ნატოს ექსპერტი სასურსათო უსაფრთხოების დარგში: „გულის ელექსირის“ ანალოგი მთელ მსოფლიოში ძნელად თუ მოიპოვება.“

რას წარმოადგენს „გულის ელექსირი“ და რა გამოარჩევს მას სხვა ჰომეოპათიური თუ სხვა ტიპის გულის დაავადებათა სამკურნალო საშუალებებისგან? განმარტებებისთვის პრეპარატის შემქმნელს, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრს, ექიმს, ბატონ **კახა საბახტარაშვილს** ვესაუბრეთ:

— ბატონო კახა, ელოდით, რომ უმოკლეს დროში თქვენს მიერ შექმნილი „გულის ელექსირი“ ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი საგულე წამლის სახელს დაიმკვიდრებდა?

— „გულის ელექსირი“ „დაიბადა“ ჰომეოპათიური მედიცინის 300-წლიანი გამოცდილების გაანალიზებისა და უძველესი ქართული მედიცინის სინთეზის საფუძველზე. ასეთი სამუშაო არათუ საქართველოში, მსოფლიოში არსად არ წარმოებულა. აქედან გამომდინარე, ყველა საფუძველი არსებობდა იმ მოლოდინის, რომ მრავალ ათას ადამიანს თავის თავზე გამოეცადა „გულის ელექსირის“ უნიკალურ ფორმულაში ჩადებული სიკეთე. მაგრამ იმას კი ნამდვილად არ ველოდი, რომ „გულის ელექსირი“ სააფთიაქო ქსელში გამოჩენიდან 4–5 თვეში დეფიციტური გახდებოდა და ყველა აფთიაქს გაუჩნდებოდა მისი შეძენის სურვილი.

— რა თვისებები აქვს „გულის ელექსირს“?

— „გულის ელექსირი“ ნატურალური, ბუნებრივი კომპონენტებისგან შემდგარი გულის სამკურნალო და პროფილაქტიკური წამლების ჯგუფს მიეკუთვნება. ის აფართოებს გულის მკვებავ სისხლძარღვებს, არის სპაზმის მომხსნელი, გულის კუნთის მკვებავი და არითმიის საწინააღმდეგო, წნევის მარეგულირებელი. არა აქვს შეზღუდვა: შეიძლება გამოყენება როგორც დაბალი, ისე მაღალი წნევის დროს. „გულის ელექსირის“ შემადგენლობაში შედის ისეთი ნატურალური კომპონენტებიც, რომლებიც ხელს უწყობენ ნერვული სისტემის რელაქსაციას. აქვს დამამშვიდებელი მოქმედებაც. აქედან გამომდინარე, ინფარქტის, ინსულტის თავიდან ასაცილებლად სასურველია „გულის ელექსირი“ ჯანმრთელმა ადამიანმაც მიიღოს პროფილაქტიკის მიზნით დღეში თუნდაც ერთხელ.

— რამდენი ხნის განმავლობაში შეუძლია ადამიანს მიიღოს ეს წამალი?

— „გულის ელექსირს“ მიჩვევის ეფექტი არ გააჩნია. არა აქვს გვერდითი მოქმედებები. მისი მიღება შესაძლებელია წლების განმავლობაში დანიშნულ ქიმიურ მედიკამენტებთან ერთად. ბევრ შემთხვევაში ცვლის ძვირადღირებულ საგულე საშუალებებს ან ამცირებს მათი მიღების ინტენსივობას.

გვქონდა ძალზე საინტერესო შემთხვევაც. დაგვიკავშირდა ასაკოვანი ქალბატონი. მას აქვს შაქრიანი დიაბეტი. მკურნალი ენდოკრინოლოგი მას დააკვირდა: იმ დროს, როდესაც პაციენტი იღებდა „გულის ელექსირს“, შაქრის დონე დაბლა იწევდა და შაქრის დამწევი პრეპარატების დოზის კორექტირება იყო საჭირო. ამ ფაქტს ის ახსნა მოვუძებნეთ, რომ „გულის ელექსირის“ შემადგენლობაში შედის კუნელი, რომელსაც ჰომეოპათიური სახის შაქრის დამწევი თვისებებიც გააჩნია.

— გასაგებია, რომ „გულის ელექსირი“ თქვენი, როგორც გამოცდილი ექიმი-კლინიცისტის, 50 სამეცნიერო შრომის, 7 წიგნის, 1 მონოგრაფიის ავტორის მიერ შექმნილი სამკურნალო წამალია. მაგრამ მაინც რა დაავადებებია, ძირითადად, თქვენი ინტერესის საგანი?

— მე და „გულის ელექსირის“ თანაავტორმა, ექიმმა **სოფიკო მარგალიტაშვილმა** შევიმუშავეთ ურთულესი დაავადებების: ღვიძლის ციროზული პროცესების, ჰეპატიტების, წყლულოვანი დაავადებების, ზოგიერთი სახის სიმსივნის, ქალთა გინეკოლოგიური დაავადებების, ჩიყვის, ჩირქოვანი ტონზილიტების ალტერნატიული მედიცინის მეთოდების გამოყენებით უნიკალური სქემები და სამკურნალო საშუალებები. მიღებული შედეგები შთამბეჭდავია.

— რამდენად ხელმისაწვდომია „გულის ელექსირი“?

— ერთი ფლაკონის (წვეთები) ღირებულება 16 ლარამდეა. 1 ფლაკონი ყოფნის 1 თვეზე ცოტა მეტ ხანს. ის უკვე ყველა სააფთიაქო ქსელშია.

ჯანდაცვის სამინისტროს მიერ „გულის ელექსირის“ გაცემა ნებადართულია ურეცეპტოდ, ექიმის დანიშნულების გარეშეც. თავსებადია ნებისმიერ ქიმიურ მედიკამენტთან.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
ნომრის რედაქტორი: ირანდა კალანდაძე

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001